

სოციალისტის



№ 38

ყოველ კვირეული ჟურნალი

№ 38

რედაქციის მისამართი:

ტფილისი, პლენანოვის პროს. სასტუმრო „ნო 6“ ოთახი № 102.

ფასი 5 კაპ.

რედაქცია

დღია ყოველ დღე { დღის 2 ს. საღამოს 6 ს.

ინგლის-საბჭოთა კონფერენცია.

საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონფერენციაზე ურთიერთ შეთანხმება მოხდა.

ეს მეტად ყურადღებები მოვლენა ჩვენი აწინდელ ვითარებისათვის, როგორც კავშირის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

ინგლისი დღევანდელ დასავლეთ ევროპაში უძლიერესი კაპიტალისტური სახელმწიფოა, მის სიტყვას და საქმეს, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ანტანტის მთელ პოლიტიკაში.

ამიტომ იყო, რომ საქმარისი შეიქმნა საბჭოთა კავშირის ინგლისის მიერ ცნობა, როცა მას კულში მიჰყავს მთელი რიგი მეორე ხარისხიანი სახელმწიფოებისა.

ამიტომ იყო, რომ ინგლის-საბჭოთა კონფერენცია—გადაიქცა იმ საცდელ ქვეთ, რომელსაც უნდა ცხადდეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციულობის სიმტკიცე არა მარტო ინგლისთან დამოკიდებულებაში, არამედ საერთაშორისო ფრონტზე.

ამას მიეწერება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომლითაც ლონდონის კონფერენციას თავიდანვე ეპყრობოდა ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოები, ამით იყო გამოწყვეული ის არაჩვეულებრივი, ერთი წუთითაც შეუსუსტებელი ინტერესი, რომლითაც მას თვალს ადევნებდა საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი ხალხი და ყველა მისი კეთილ-მოყვარე.

დღეს ჩვენ ამ კონფერენციის შეთანხმების ფაქტის წინაშე ვდგავართ. ინგლისის ფსევდო-პროლეტარულ მთავრობას ასე ადვილათ არ უღირს ის დათმობა, რომელზედაც მას მოუხდა წასვლა საბჭოთა დელეგაციასთან შესთანხმებლათ.

ტყუილად კი არ სიტყვა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პონსონიმ თემთა პალატაში, როცა ის ამ კონფერენციის შესახებ მოხსენებას აკეთებდა,—რომ:

ყველა რთულ კითხვათა შორის, რომელთანაც კი დაურჩა მუშათა მთავრობას საქმის დაჭერა თავის მუშაობის პირველ

დღეებიდანვე, ძნელად მოიპოვება ისეთი საკითხი, როგორც რუსეთ—დიდი ბრიტანეთის ურთი-ერთობის კითხვაო.

ცხადია, რომ უმუშევრობით განაწმენბმა ინგლისის პროლეტარიატმა, რომლის მთელი სიმპატია ისედაც საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მხარეზე იყო, უკანასკნელ არჩევნების დროს დღის წესრიგში პირველ რიგათ საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულობის კითხვა წამოაყენა.

ყველაზე დიდი დაპირებები, ყველაზე მეტი თამასუქები ამ მხრივ ინგლისის მუშათა პარტიამ გასცა. ამ კითხვაზე შეიძინა მან მთელი საარჩევნო კაპიტალი და ამის მეოხებით დაიჭირა მთავრობის საგარტელი.

ამიტომ ლონდონის კონფერენციის მარცხი—იგივე მაკლანდლის კაბინეტის მარცხი იქნებოდა, ამ კონფერენციის შეთანხმებამდე მისგლა—მაკლანდლის კაბინეტის სიმტკიცის მომასწავებელი იყო.

აქედან ცხადია ის მოულოდნელი მანვერი, რომელსაც ჰქონდა ადგილი შეთანხმების წინა დღეებში და რომელიც კონფერენციის მარცხიდან, მის მორიგებით დამთავრებაში გამოხატა.

ინგლისის მთავრობამ ყველა შესაძლებლობას მიმართა, მან ხმარებაში კონფერენციის ჩაშლის სიმულიაიცა-კი გაუშვა, უკვე მთელ მსოფლიოს მოედო ცნობა ინგლის-საბჭოთა კონფერენციის ჩაშლის შესახებ, უკვე მოასწრო ალაპარაკება სისხარულით ფრთა შესხმულ პროლეტარიატის ყვე-ყორნებმა.

პარიზის საღამოს გაზეთები და მსხვილ ბურჟუაზიის ორგანო „ჟურნალ დე დება“ უკვე შეუდგენ სადღესასწაულო ნაღმს და ერიოს, მაკლანდლის შეცდომის განმეორებისაგან აფროთხილებდენ, რომ ლონდონის დეპუტებმა მათ იმედებს უეცრივ ცივი წყალი გადაასხა და ქვეყანას აცნობა კონფერენციაზე ურთიერთ შეთანხმების შესახებ.

ეს კომედია ინგლისის „მუშათა“ მთავრობას

იმისთვის დასჭირდა, რომ ყოველი ღონე ეხმარა საბჭოთა კავშირის ბრიტანეთის კაპიტალის წინაშე წამოსაჩოქებლათ. მაგრამ ინგლისის ბურჟუაზია ერთხელ კიდევ დარწმუნდა რამდენად შემცდარი ყოფილა მისი აზრი საბჭოთა კავშირის დამორჩილების შესახებ.

ამიერიდან ჩვენ რესპუბლიკებისათვის იხსენება ასეთივე შეთანხმების ფართე პერსპექტივა სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან ეკონომიურ თანამშრომლობის აღსადგენათ. ამის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა ერთი ასად გაიზრდება.

ხაშურის პრეზის ვაჟი.

დღეს ჩვენს ჟურნალში მიღის კორესპონდენცია ხაშურის კრების შესახებ. ამ კრებას დამახასიათებელი მნიშვნელობა აქვს. ის ადგილობრივ მუშათა ინიციატივით ყოველა მოწვეული. იქ იღვა თვით მასის მიერ წამოყენებული კითხვები.

ნ. ჟორდანიას წერილი—აი, ის თემა, რომლის გარშემოც ლაპარაკობდა ეს კრება.

ჩვენ ვიცით, რომ ჟორდანიას უკანასკნელმა წერილებმა სულ წინააღმდეგი შედეგი მოიტანა, ვიდრე ამას ამ წერილების ავტორი მოელოდა. ეს წერილები მგარ წიხლად მოხვდა ისედაც სასომიხილ ქართულ ს-დემოკრატის და მისი რიგები უფრო საგრძნობლათ შეარყია.

პირველყოფლისა, რასაც ვერ შერიგებია ქართველი მშრომელი ხალხი ამ წერილებში—ესაა საბჭოთა სისტემისადმი ის დაუნდობელი გააფთრებული მტრობის დალი—რომელიც აზის კორდანიას წერილებს. დღეს საქართველოში იშვიათად მოიპოვება ისეთი თავზე ხელაღებული ადაპიანი, რომელიც ჩვენი ქვეყნის საბჭოთა კავშირის გარედ ყოფნას მისაღებათ სცნობდეს. მით უმეტეს ასეთია მუშათა და გლეხთა ყოფილ მენშევიკურ მასის სულისკვეთება.

გერმანია პოლიტიკაშია?

მენშევიკურ პარტიის ერთ-ერთ უკანასკნელ არალეგალურ ფურცელში ვკითხულობთ:

...და აი დღეს, როდესაც წყდება საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი, როდესაც საქართველოს განთავისუფლების საკითხი ამა თუ იმ სახით უნდა წამოიჭრას ლონდონის კონფერენციის დღის წეს-რიგში“ და სხვა.

აი ასეთი იმედით უმსაზინძლდება დღეს ეს პარტია იმ თითო-ორი ბედის მაძებარადამიანს, რომელიც კიდევ შერჩენია მის შეთხლებულ რიგებს.

ჩვენ არაერთხელ და ორჯერ აღვინიშნავს, რომ ქართული მენშევიზმი დღეს სხვისი ხელის შემყურე პარტიათა გადაიქცა, რომ ის საკუთარ რევიმის რესტავრაციას გარეშე ძალის დახმარებით ფიქრობს.

იატაკ-ქვეშ მოკალათებული უმნიშვნელო ჯგუფის არალეგალური ცეკა-კი, დღეს რომ ბოროტებას ჩაიდენს, ხვალ ცივი ხმით გაჰკვივის. უდანაშაულოთ შეურაცყოფილის მანტიაში ეხვევა და ყოველ გზაჯვარედინზე სჩივის რომ გარეშე ძალის იმედი, შეიარაღებული ინტერვენცია და სხვა ეს ჩვენი მტრების მოგონილი ჭორია, რომ შეაძულონ ჩვენი თავი ქართველ მშრომელ ხალხსა.

მაგრამ ყველას, ვინც ცოტათ თუ ბევრათ ახლო იღვა მენშევიკურ პარტიასთან ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, შეუძლია წარმოიდგინოს, რამდენად შეესაბამება ამ პარტიის ასეთი თვალთმაქცობა ცხოვრების სინამდვილეს.

ვის არ ახსოვს ჰენის კონფერენციის დღეები, როგორი იმედებით იყო მაშინ აღსავსე მენშევიკურ პარტიის საზღვარ-გარეთელი და შინაური ლიტერატურა. ამ ლიტერატურამ შექმნა ბნელ, აჭრელბუნებელ მასაში, რომელიც ქართულ ს.-დემოკრატიას ფხვ და ფხვ მიყვებოდა, განუხორციელებელი ილიუზიები.

ქართულ მენშევიზმმა მობოლიზაცია უყო მაშინ მთელ რეაქციონურ ხროვას ნაციონალ-დემოკრატებით და სამღვდლოებით დაწყებული საკუთარ თავამდე. მთელი ეს დაშქარი „ნესტან-დარეჯანის“ განთავისუფლების მოახლოებაზე ფუსფუსებდა, ყველა ესენი მესიასავით მოელოდნენ ჰენის კონფერენციის განახენს.

ჩვენ დავინახეთ, რომ ქართულ კონტრ-რევოლუციის კაცუნებს, —აქ კოვზი ნაცარში ჩაუფარდათ.

მაგრამ იმედით მოსულდგმულე ავანტიურისტები ასე აღვირბათ არ ეშვებოდნენ ბედს. ჰენის კონფერენციას—ჰაავის კონგრესი მოჰყვა. ჰაავას—კილონის კონფერენცია.

ვისაც ამ დროს არალეგალურ ორგანიზაციებში უმუშავებია, მას ალბათ კარგად ახსოვს რა დიდ იმედებს ამყარებდა მაშინ ქართული ს.-დემოკრატიის ლოზანის კონფერენციასზე. რუსეთ-ოსმალეთის განშორება, ქემალის მოსკოვის წინააღმდეგ ამხედრება მოკავშირეთა დახმარებით და საქართველოს განთავისუფლება.

ასეთი იყო ის უბადრუტი გეგმა, ის უნიადაგო და ქართველი ხალხისათვის საბედისწერო ბრძოლის გზა, რომლითაც მაშინ სულდგმულობდა მენშევიკური პარტია.

მაგრამ ბედმა არც აქ უწყალობა ქართულ ს.-დემოკრატიას. ლოზანის კონფერენციამ იმდენივეთ შეასხა ფრთები მის ოცნებას, რამდენადაც ჰენის კონფერენციამ.

დღეს-კი ერთის ნაცვლად ორი კონფერენციის მოწამენი ვართ, საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონფერენცია, ანტანტის და გერმანიის კონფერენცია. სხვისი შემყურე, გარეშე დახმარებით მოსულდგმულე მენშევიკური პარტია დღესაც არ იშლის ამ ცრუ იმედების გზით სვლას, ის დღესაც სცილობს ქართველი მშრომელი ხალხის თვალის ასახვევად და ავანტიურისტულ ქსელში გასაბამად ახალი დასაყრდნობი წერტილი ნახოს. დღეს ის ლონდონის კონფერენციას შესძებურებს, მისი იმედით იბრუნებს სულს.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ შემთხვევაში მენშევიკური პარტია ისევე პირში ჩალაგამოვლებული დარჩა როგორც დღემდე.

ამის შემდეგ ნ. ჯორდანის კიდევ აძლევს სინიდის ნებას, რომ დასწეროს: საზღვარგარეთის იმედები, საგარეო ინტერვენცია არ ყოფილა ჩვენი პარტიის მოქმედების ღერძით ნუ თუ საზღვარგარეთის იმედები არაა სულ სხვისი კარ და კარ სიარული, კონფერენციებიდან კონფერენციებზე ხეტიალი და საქართველოს ერის განთავისუფლებაზე ჩივილგოლება?

რა საშვალება, რომელი შესაძლებლობა აქვს დღეს ანტანტის სახელმწიფოს საქართველოში დემოკრატიულ წეს-წყობილების რეყიმის აღსადგენათ? როდის შემდეგ იქამა საზღვარ-გარეთ მოზინდარე მენშევიკებმა ბურჟუაზიულ ევროპის კაცთმოყვარობა და ლამაზ თვალბისადმი პატივისცემა?

ნუ თუ კ. ჩხეიძემ, რომელსაც ერთ დროს ჰქონდა ბედნიერება ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარეობის, ჩხეიძემ, რომელიც დღეს საზღვარ-გარეთ ქართველ სამღვდლოების მოსარჩლეთ და ვეჭილათ გამხდარა, ნუ თუ ამ. კ. ჩხეიძემ არ იცის, რომ ერთად ერთი საშვალება მათი განზრახვების განხორციელების, თუ ამას ხელი მოკიდა ანტანტის ხელმწიფოებმა, არის იარაღით გამოლაშქრების, ცეცხლით და მახვილით ბრძოლის გზა.

იცის, მაგრამ რა ჰქნას, როცა მოთმინების ფილა აივსო; იცის, მაგრამ რა ჰქნას, როცა საბჭოთა კავშირი შინაურ გართულების და დაცემის ნაცვლად დღითი-დღე წინ მიეკანება.

ჩვენ უკვე გვაქვს ცნობა, როგორ დასრულდა ლონდონის კონფერენცია, ჩვენ ვიცით რამდენად გაამართლა ამ კონფერენციამ ჩვენებურ ღონ-იხორტების სურვილები.

მაგრამ მდგომარეობა არც ისე უნუგუმოა. დღეს თუ ხვალ კიდევ გაიხსნება რომელიმე კონფერენცია. ვინძლო მაშინ შეესხას ფრთები მენშევიკურ პარტიის იმედებს!

ა. მაისურაძე.

რამდენადაც კითხვა ისე სდგას, რომ საქართველოს არსებობა წარმოუდგენელია რომელიმე სახელმწიფოსთან კავშირის გარეშე, იმდენად დასავლეთ ევროპის კავშირთან, ან ოსმალეთის ჯერ კიდევ ნახევრად ფეოდალურ კულტურასთან და პოლიტიკასთან კავშირს, ჩვენი ქვეყნის დიდი უმრავლესობა, რასაკვირველია საბჭოთა კავშირს ამჯობინებს.

ეს კითხვა პირველად არ დასმულა ჩვენი ქვეყნის წინაშე. მას მხოლოდ ეხლა არ იხილავს ქართველი მშრომელი ხალხი. იყო დრო, როცა ქართულ სოც.-დემოკრატიას ტვინი ჯერ კიდევ არ ჰქონდა სასვებით გადაბრუნებული. მაშინ ის თავგამოდებით იცავდა ამ აზრს, ეს არც ისე დიდი ხნის ამბავია. 1918 წ. 27 მარტის „ერთობა“ ი. გომართელთან ეროვნულ კითხვაზე კამათში შემდეგს ამბობს:

„ჩვენ წინაშე (თუ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ს. ხ.) მთელ თავის სიძლიერით წამოიჭრება საკითხი მოკავშირის გამოძებნის შესახებ. ვინ იქნება ეს მოკავშირე? ყველა ევროპული სახელმწიფოს აქამდე ხელი ისე ადვილად არ მოუწვდებდა. ცხადია ერთ-ერთ მგზობელ სახელმწიფოს უნდა მივეყედლოთ, ერთ-ერთს შევადაროთ თავი. ახა ბრძანოს თვით ივ. გომართელმა ამ შესაძლებელ მგზობლებში რომელი სჯობია— ჩრდილოეთი თუ სამხრეთი, ოსმალეთის ფაშები—თუ რუსეთის კადეტები? ივ. გომართლის არ ცივით და ჩვენი ხალხი კი ასეთ არჩევანის წინაშე ყოყმანს არ დაიწყებდა. იგი იმ ისტორიულ გზას აირჩევს, რომლითაც აქამდე მიადგია. (ხაზი ჩემია, ს. ხ.).“

ამდროით საქართველოს მენშევიკურ პარტიის ცენტრალურ ორგანოს, რომელიც მთელი პარტიის გეზს და მიმართულებას გამოხატავდა, საქართველო რუსეთის კავშირის გარეთ ვერ წარმოედგინა. და მერე როგორი რუსეთის, კადეტური რუსეთისაც-კი.

რა მოხდა დღეს? რად დაჰკარგა ქართულ სოც.-დემოკრატიამ ის ტვინი და გონება, რომლითაც მაშინ იკვლევდა გზას?

ალბათ საბრალონი გვიპასუხებენ, რომ „ბოლშევიკურ ტირანიას მონარქისტული რუსეთი გვირჩევენია“. დღეს მის რიგებში შერჩენილ თითო-ორილ ავანტიურისტებისაგან ეს ჩვენ ხშირად გვესმის.

მაგრამ რა გავწყობა. ეს ყველაფერი გემოვნების საქმეა. დაე, სოც.-დემ. პარტიას, რომელიც ხალხის ვასაბიბარუბლოთ თავისთავს კიდევ „მუშათა“ პარტიას ეძახის, პროლეტარულ სახელმწიფოსთან კავშირს ნიკო რომანოვის რუსეთთან კავშირი ერჩიოს. საქმე ისაა, რომ ამ პარტიის მუშაობა ნაწილმა კარგა ხანია არჩევანი დაასრულა და ის დღეს თავის გზით მიდის.

ამით აიხსნება ის პასუხი, რომელიც საქართველოს მუშათა კლასის ერთ-ერთ ავანგარდმა ვასკა ჯორდანის უკანასკნელ წერილებზე ხაზუროში და მით ერთხელ კიდევ განიმეორა, რომ ქართულ ს.-დემოკრატიის შოკინიზმის გესლთ მოშაბული ტვინის უჯრედები დღეს მას გზად და ხიდათ აღარ გამოადგება.

სიმონ ზეინკალი.

გეგმვის სოფლის კალაპატი.

მეორე ინტერნაციონალი შეიძლება წმინდა მამათა მსოფლიო კრებულათ ჩაითვალოს. რაც დრო გადის, ის თანდათან უახლოვდება ასეთ მდგომარეობას.

ამ ინტერნაციონალის ქრისტიანული ხასიათი მარტო იმით არ განისაზღვრება, რომ მასში შედიან და მის თვალსაჩინო ხელმძღვანელებათ ითვლებიან მუშათა კლასის ისეთი „სიამაყე“, როგორც არტურ ჰენდერსონია.

არაფის ეგონოს, რომ ჰენდერსონი დმერთს სკოდებდეს და სარწმუნოებას ლალატობდეს. მართალია ის ერის კაცია და ცოდვილ ქვეყანაზე ერთ უდიდეს სახელმწიფოში შინაგან საქმეთა მინისტრის საფარძელიც კი უჭირავს, მაგრამ ამავე დროს მას არც სხვა ქვეყანაზე ზრუნვა ემნელება, ის ღვთის მსახურებასაც გულმოდგინეთ ეწევა.

დღიურ შრომით დაქანცული, ის ცოდვების მოსანანიებლათ სამლოცველოში მიეშურება, სადაც მის „ყოვლის შემდგომ“ თვალსაჩინო ეგვრება „ნებსით თუ უნებლიე“ ცოდვათა მოტოვებას.

ასეთია ჰენდერსონი,—ის ერის და ღვთის კაცია, ის შინაგან საქმეთა მინისტრიც და ერთ-ერთ სარწმუნოებრივ კრებულის გაკლენიანი წევრი და მოღვაწეც არის.

და უნდა ითქვას სიმართლე, რომ არა თუ მხოლოდ ჰენდერსონი, არამედ მაკდონალდიც, ტომასიც, მეუღლე სნოუდენები და სხვები პირნათლად ასრულებენ საეკლესიო ქადაგებას. „კაცთა შორის სათნოება და მშვიდობა ქვეყანასა ზედა“. ზავი ყოველთა და ყველას შორის“—აი მათი იდეალი. „ვინც გვაგაწნას ერთი სილა, მიუშვირე მას მეორე“, აი მათი ბრძოლის მეთოდი მუშათა მოძრაობაში.

მომიახლოვდი, ჩემო ძვირფასო,
მინდა ჩაგიკრა ნაწამებ გულში,
იქნებ წარსულის ბრწყინვალე დღენი
კვლავ მოვიგონო შენ სიყვარულში...

რა რიგ წარმტაცი და მშვენიერი,
თვალწინ მიდგია ეგ შენი სახე,
როცა პირველად წითელი დროშით
ბარიკადებზე მე დაგინახე!

ის იყო ეამი გამარჯვებისა,
მწარედ დამარცხდა მტარვალთ ლაშქარი
და მიველ მიდამოს შიშის ზარს სცემდა,
შენი მკვეთრი ხმა, ბრძოლით მქუხარია!

შენმა გმობობამ მეც გამაზნეა
და შთამბერა ძლიერი სული.
შენით ვცოცხლობდი, შენით ვიბრძოდი,
ბედნიერებით მიძგერდა გული...

ესლაც მოვიხმობ... მსურს ბრძოლის-ცეცხლი
კიდევ აღინთოს მედგრად ყველგანა,
რომ ერთა შორის დამკვიდრდეს ძმობა
და მით განახლდეს მთელი ქვეყანა!..

მომიახლოვდი, ჩემო ძვირფასო,
მინდა ჩაგიკრა ნაწამებ გულში...
იქნებ წარსული ბრძოლის დღეები
კვლავ გამოითენდეს შენ სიყვარულში!

ალექსანდრა.

მოსკოვი 1 მაისი 1928 წ.

ეს პასუხი არ არის

(გაგრძელება)

III

გზას და პრინციპს ნ. ჟორდანია არ იძლევა თავის წერილში. ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, ვილაცა მოვა და გავანთავისუფლებსო, შენ თითონ გაინთავისუფლებ თავს, თუ გინდაო,—ეუბნება ის ქართველ ხალხს.

ნ. ჟორდანიას ტაქტიკაც დამყარებულია უძველო და უხერხემლო იმედზე. ნ. ჟორდანია რალაცას ელის „აქედან“ როგორც აქ რალაცას ელიან „იქედან“. ეს რალაცაა საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის „სამოქმედო“ ღერძი.

ყოფილ მენშევიკთა საპასუხობთ ნ. ჟორდანია გაკერით ამბობს,—ბოლშევიზმის გზა მიდის უფსკრულისაკენ, და ჩვენი გზა მიდის აღორძინებისაკენ.

ეს ზეპირი თქმაა, საიდან გამოიყვანება დღევანდელ ობიექტიურ პირობებში ეს „ჩვენი გზა“, საიდან და როგორ გავედით ჩვენ აღორძინებისაკენ? —ბოლშევიკური ხელისუფლება, უმეპელია, დაიქცევაო,—სწერს ნ. ჟორდანია. რა იქნება შემდეგ? ამაზე ის გვეუბნება „ბრძოლის საკითხებში“, —ბოლშევიზმს სახირო მემკვიდრე არ ეყოლება, ბოლშევიზმის

ხიდან დემოკრატიზმი არ ჩამოვარდებაო“. როგორღა ვიპოვნით, თუ ასეა, იმ „ჩვენ გზას“, რომელიც მიდის აღორძინებისაკენ? ასე უნდა დადგეს საკითხი. ნ. ჟორდანიას არ აქვს ამ საკითხზე არავითარი პასუხი.

პასუხი არ არის მარტო იმის თქმა, რომ—საბჭოთა ძალა-უფლების დამარცხება საქართველოში ნიშნავს ხალხის სუვერენიტეტის აღდგენას, დემოკრატიის გაბატონებას; თავისუფლების დამყარებას და ბრძოლის საშუალებების გაფართოებას“.

ასე ადვილათ ჩვენ ვერ დავაიმედებთ ხალხს, ვერ შევიპირდებით, რომ საბჭოთა ძალა-უფლების ჩამოგდება უთუოდ დემოკრატიას გააბატონებს საქართველოში. ისტორია არ შეასრულებს ამისთანა დაპირებას. ვითომ მოხერხდება ისე, რომ რუსეთში დარჩეს ბოლშევიზმი და საქართველოში დამარცხდეს? ან თავს დაანებებს რუსეთი საქართველოს, რომ აღარც იქ იქნეს ბოლშევიზმი?

აი ამ კითხვებში ნ. ჟორდანიას „წყალზე ფეხით გაჩერება“ მოუწოდებია. რუსეთი თავისთვის და საქართველო თავისთვისო,—ამბობს. ეს არის ტყუილი იმედი, უტოპია და, როგორც სჩანს, ნ. ჟორდანია „ამ უტოპიის მსხვერპლი გამხდარა“.

საქართველოს არ მოეხსენება არც ბოლშევიკური, არც კადეტური, არც ესერული რუ-

სეთი. არც სოც.-დემოკრატიული რუსეთი მოეხსენება, რომ მოხდეს კიდევ სასწაული და გაჩნდეს ამისთანა.

ბერლინის ჟურნალში, „Социалистический Вестник“-ში (რუსი მენშევიკების ორგანოა) ამ სამი წლის წინეთ ეწერა:—თუ ეკონომიკური წინმსვლელობასთვის საჭირო იქნა რუსეთთან ერთად ყოფნა, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ დარწმუნების ძალით (силой убеждения) პატარა ერებზე, რომ რუსეთთან იყონო. ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს საბოლოოთ силой убеждения. სადაც სიტყვა არ იქმარებს, იქ იარაღი შევა ხმარებაში.

თუ საქართველო რუსეთს ვერ გამოეცლება, ცხადია, რუსეთისაგან დამოუკიდებლათ საქართველოში ვერაფერი დამყარდება. ნ. ჟორდანია არ ეყოფა გაცქრით ლაპარაკი ამ საგანზე. ის მოვალეა გამოარკვიოს უფრო საფუძვლიანათ, რა ობიექტიური პირობებია იმის თავედები, რომ საქართველოს ექნება მეტი დამოუკიდებლობა ბოლშევიკურ ძალაუფლების შემდეგ.

საქმე იმაშია, ვინ იქნება ჩამომდგები ამ ძალაუფლების. ქართველ ხალხს „დამხმარე“ უნდა ეყოლოს. თუ დაეხმარა ვინმე, ისე არ დაეხმარება. რომ წინ არ წაივლოს, მთავარი სასიცოცხლო ძალები არ შეაღვივნოს და მერე თავზე არ დააჯდეს. პოლიტიკაში მუშაობს

რამდენადაც კითხვა ისე სდგას, რომ საქართველოს არსებობა წარმოუდგენელია რომელიმე სახელმწიფოსთან კავშირის გარეშე, იმდენად დასავლეთ ევროპის კაპიტალთან, ან ოსმალეთის ჯერ კიდევ ნახევრად ფეოდალურ კულტურასთან და პოლიტიკასთან კავშირს, ჩვენი ქვეყნის დიდი უმრავლესობა, რასაკვირველია საბჭოთა კავშირს ამჯობინებს.

ეს კითხვა პირველად არ დასმულა ჩვენი ქვეყნის წინაშე, მას მხოლოდ უხლა არ იხილავს ქართველი მშრომელი ხალხი. იყო დრო, როცა ქართულ სოც.-დემოკრატიას ტვინი ჯერ კიდევ არ ჰქონდა საყვებით გაღაბრუნებული. მაშინ ის თავამოდებით იცავდა ამ აზრს, ეს არც ისე დიდი ხნის ამბავია. 1918 წ. 27 მარტის „ერთობა“ ი. გომართელთან ეროვნულ კითხვაზე კამათში შემოღვეს ამბობს:

„ჩვენ წინაშე (თუ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ს. ხ.) მთელ თავის სიძლიერით წამოიჭრება საკითხი მოკავშირის გამოძების შესახებ. ვინ იქნება ეს მოკავშირე? ყველა ევროპიელ სახელმწიფოს აქამდე ხელი ისე ადვილათ არ მოუწვდებოდა. ცხადია ერთ-ერთ მეზობელ სახელმწიფოს უნდა მივუყვარდეთ, ერთ-ერთს შევადაროთ თავი. აბა ბრძანოს თვით ივ. გომართელმა ამ შესაძლებელ მეზობლებში რომელი ხალხია — ჩრდილოეთით თუ სამხრეთით, ოსმალეთის ფაშები — თუ რუსეთის კადეტები? ივ. გომართლის არ ციციტ და ჩვენი ხალხი კი ასეთ არჩევანის წინაშე ყოყმანს არ დაიწყებდა. იგი იმ ისტორიულ გზას აირჩევს, რომლითაც აქამდე მიადგია. (ხაზი ჩემია, ს. ხ.)“

ამნაირათ საქართველოს მენშევიკურ პარტიის ცენტრალურ ორგანოს, რომელიც მთელი პარტიის გეზს, და მიმართულებას გამოხატავდა, საქართველო რუსეთის კავშირის გარეთ ვერ წარმოედგინა. და მერე როგორი რუსეთის, კადეტური რუსეთისაც-კი.

რა მოხდა დღეს? რად დაჰკარგა ქართულ სოც.-დემოკრატიამ ის ტვინი და გონება, რომლითაც მაშინ იკვლევდა გზას?

ალბათ საბრალონი გვიპასუხებენ, რომ „ბოლშევიკურ ტირანის მონარქისტული რუსეთი გვიჩვენია“. დღეს მის რიგებში შერჩენილ თითო-ორი ავანტიურისტებისაგან ეს ჩვენ ხშირად გვესმის.

მაგრამ რა გაუწყობა. ეს ყველაფერი გემოვნების საქმეა. დღე, სოც.-დემ. პარტიას, რომელიც ხალხის გასაბიბრებლათ თავისთავს კიდევ „მუშათა“ პარტიას ეძახის, პროლეტარულ სახელმწიფოსთან კავშირს ნიკო რომანოვის რუსეთთან კავშირი ერჩიოს. საქმე ისაა, რომ ამ პარტიის მუშურმა ნაწილმა კარგა ხანია არჩევანი დაასრულა და ის დღეს თავის გზით მიდის.

ამით აიხსნება ის პასუხი, რომელიც საქართველოს მუშათა კლასის ერთ-ერთ ავანგარდმა გასცა ევროპის სოციალისტურ წერილებზე ხაზურში და მით ერთხელ კიდევ განიმეორა, რომ ქართულ ს.-დემოკრატიის შოვინიზმის გესლით მოშხამული ტვინის უჯრედები დღეს მას გზად და ხიდათ აღარ გამოადგება.

სიმონ ზეინკალი.

მეკამდენე კონფერენცია?

მენშევიკურ პარტიის ერთ-ერთ უკანასკნელ არალეგალურ ფურცელში ვკითხულობთ:

...და აი დღეს, როდესაც წყდება საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი, როდესაც საქართველოს განთავისუფლების საკითხი ამა თუ იმ სახით უნდა წამოიჭრას ლონდონის კონფერენციის დღის წეს-რიგში“ და სხვა.

აი ასეთი იმედი უქსანძილდება დღეს ეს პარტია იმ თითო-ორი ბედის მძებარ ადამიანს, რომელიც კიდევ შერჩენია მის შეთხვევებულ რიგებს.

ჩვენ არაერთხელ და ორჯერ აღგვიწმინავს, რომ ქართული მენშევიზმი დღეს სხვისი ხელის შემყურე პარტიათ გადაიქცა, რომ ის საკუთარ რეჟიმის რესტავრაციას გარეშე ძალის დახმარებით ფიქრობს.

იატაკ-ქვეშ მოკალათებული უმნიშვნელო ჯგუფის არალეგალური ცეკა-კი, დღეს რომ ბოროტებას ჩაიდენს, ხვალ ცივი ხმით გაჰკივის. უდანაშაულოთ შეურაცხველობის მანტიასი ეხვევა და ყოველ გზაჯვარედინზე სჩივის რომ გარეშე ძალის იმედი, შეიარაღებული ინტერვენცია და სხვა ეს ჩვენი მტრების მოგონილი ჭორია, რომ შეაძულონ ჩვენი თავი ქართველ მშრომელ ხალხსა.

მაგრამ ყველას, ვინც ცოტათ თუ ბევრათ ახლო იდგა მენშევიკურ პარტიასთან ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, შეუძლია წარმოიდგინოს, რამდენად შეესაბამება ამ პარტიის ასეთი თვალთმაქცობა ცხოვრების სინამდვილეს.

ვის არ ახსოვს ჰენუის კონფერენციის დღეები, როგორი იმედებით იყო მაშინ აღსავსე მენშევიკურ პარტიის საზღვარ-გარეთელი და შინაური ლიტერატურა. ამ ლიტერატურამ შეჰქმნა ბნელ, აჭრელეებულ მასაში, რომელიც ქართულ ს.-დემოკრატიას ფეხ და ფეხ მიყვებოდა, განუხორციელებელი ილიუზიები.

ქართულ მენშევიზმმა მობოლიზაცია უყო მაშინ მთელ რეაქციონურ ხროვას ნაციონალ-დემოკრატიებით და სამდღელოებით დაწყებული საკუთარ თავამდე. მთელი ეს ლაშქარი „ნესტან-დარეჯანის“ განთავისუფლების მოახლოებაზე ფუსფუსებდა, ყველა ესენი მესიასავით მოელოდნენ ჰენუის კონფერენციის განახენს.

ჩვენ დავინახეთ, რომ ქართულ კონტრ-რევოლუციის კაცუნებს, — აქ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

მაგრამ იმედიტ მოსულდგმულე ავანტიურისტები ასე ადვილათ არ ეშვებოდნენ ბედს. ჰენუის კონფერენციას — ჰაავის კონგრესი მოჰყვა. ჰაავას — კილოზანის კონფერენცია.

ვისაც ამ დროს არალეგალურ ორგანიზაციებში უმუშაენია, მას ალბათ კარგად ახსოვს რა დიდ იმედებს ამყარებდა მაშინ ქართული ს.-დემოკრატია ლოზანის კონფერენციაზე. რუსეთ-ოსმალეთის განშორება, ქემალის მოსკოვის წინააღმდეგ ამხედრება მოკავშირეთა დახმარებით და საქართველოს განთავისუფლება.

ასეთი იყო ის უმადრუკი გეგმა, ის უნიდაგო და ქართველი ხალხისათვის საბედისწერო ბრძოლის გზა, რომლითაც მაშინ სულდგმულობდა მენშევიკური პარტია.

მაგრამ ბედმა არც აქ უწყალობა ქართულ ს.-დემოკრატიას. ლოზანის კონფერენციამ იმდენივე შეასხა ფრთები მის ოცნებას, რამდენადაც ჰენუის კონფერენციამ.

დღეს-კი ერთის ნაცვლად ორი კონფერენციის მოწამენი ვართ, საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონფერენცია, ანტანტის და გერმანიის კონფერენცია. სხვისი შემყურე, გარეშე დახმარებით მოსულდგმულე მენშევიკური პარტია დღესაც არ იშლის ამ ცრუ იმედების გზით სვლას, ის დღესაც სცილობს ქართველი მშრომელი ხალხის თვალის ასახვევად და ავანტიურისტულ ქსელში გასაბამლ ახალი დასაყრდნობი წერტილი ნახოს. დღეს ის ლონდონის კონფერენციას „შესძებურებს, მისი იმედიტ იბრუნებს სულს.“

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ შემთხვევაში მენშევიკური პარტია ისევე პირში ჩალაგამოვლებული დარჩა როგორც დღემდე.

ამის შემდეგ ნ. ჟორდანის კიდევ აძლევს სინიდის ნებას, რომ დასწეროს: საზღვარ-გარეთის იმედები, საგარეო ინტერვენცია არ ყოფილა ჩვენი პარტიის მოქმედების ღერძათონუ თუ საზღვარ-გარეთის იმედები არაა სულ სხვისი კარ და კარ სიარული, კონფერენციებიდან კონფერენციებზე ხეტიალი და საქართველოს ერის განთავისუფლებაზე ჩივილ-გოდება?

რა საშვალეა, რომელი შესაძლებლობა აქვს დღეს ანტანტის სახელმწიფოს საქართველოში დემოკრატიულ წეს-წყობილების რეჟიმის აღსადგენათ? როდის შემდეგ იწამა საზღვარ-გარეთ მობინადრე მენშევიკებმა ბურჟუაზიულ ევროპის კაცთმოყვარება და ლამაზ თვალებისადმი პატივისცემა?

ნუ თუ კ. ჩხეიძემ, რომელსაც ერთ დროს ჰქონდა ბედნიერება ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარეობის, ჩხეიძემ, რომელიც დღეს საზღვარ-გარეთ ქართველ სამღვდლოების მოსარჩლეთ და ვეკილათ გამხდარა, ნუ თუ ამ. კ. ჩხეიძემ არ იცის, რომ ერთად ერთი საშვალეა მათი განზრახვების განხორციელების, თუ ამას ხელი მოკიდა ანტანტის სახელმწიფოებმა, არის იარაღით გამოლაშქრების, ცეცხლით და მახვილით ბრძოლის გზა.

იცის, მაგრამ რა ჰქნას, როცა მოთმინების ფილა აივსო; იცის, მაგრამ რა ჰქნას, როცა საბჭოთა კავშირი შინაურ გართულების და დაცემის ნაცვლად დღით-დღე წინ მიეჭანება.

ჩვენ უკვე გვაქვს ცნობა, როგორ დასრულდა ლონდონის კონფერენცია, ჩვენ ვიცით რამდენად გაამართლა ამ კონფერენციამ ჩვენებურ დონ-კიხობების სურვილები.

მაგრამ მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა, დღეს თუ ხვალ კიდევ გაიხსნება რომელიმე კონფერენცია. ვინლო მაშინ შეესხას ფრთები მენშევიკურ პარტიის იმედებს!

ა. მაისურაძე.

მომიახლოვდი, ჩემო ძვირფასო,
მინდა ჩაგიკრა ნაწამებ გულში,
იქნებ წარსულის ბრწყინვალე დღენი
კვლავ მოვიგონო შენ სიყვარულში...

რა რივ წარმტაცი და მშვენიერი,
თვალწინ მიდგია ეგ შენი სახე,
როცა პირველად წითელი ღროშით
ბარიკადებზე მე დავიხანებ!

ის იყო უამი გამარჯვებისა,
მწარედ დამარცხდა მტარვალთ ლაშქარი
და მთელ მიდამოს შიშის ზარს სცემდა,
შენი მკვეთრი ხმა, ბრძოლით მქუხარი!

შენმა გმირობამ მეც გამაზხნევა
და შთამიბერა ძლიერი სული.
შენით ვცოცხლობდი, შენით ვიბრძობდი,
ბედნიერებით მიძგერდა გული...

ეხლაც მოვიხმობ... მსურს ბრძოლის-ცეცხლი
კიდევ აღინთოს მედგრად ყველგანა,
რომ ერთა შორის დამკვიდრდეს ძმობა
და მით განახლდეს მთელი ქვეყანა!..

მომიახლოვდი, ჩემო ძვირფასო,
მინდა ჩაგიკრა ნაწამებ გულში...
იქნებ წარსული ბრძოლის დღეები
კვლავ გამითენდეს შენ სიყვარულში!

ალექსანდრა.

მოსკოვი 1 მაისი 1928 წ.

ეს პასუხი არ არის

(გაგრძელება)

III

გზას და პრინციპს ნ. ჟორდანიას არ იძლევა თავის წერილში. ჩვენ არასოდეს არ გვიოქვამს, ვიღაცა მოვა და გაგანთავისუფლებსო, შენ თითონ გაინთავისუფლებ თავს, თუ გინდაო, — ეუბნება ის ქართველ ხალხს.

ნ. ჟორდანიას ტაქტიკაც დამყარებულია უძველო და უხერხემლო იმედზე. ნ. ჟორდანიას რალაცას ელის „აქედან“ როგორც აქ რალაცას ელიან „იქიდან“. ეს რალაცაა საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის „სამოქმედო“ ღერძი.

ყოფილ მენშევიკთა საპასუხობთ ნ. ჟორდანიას გაკვრით ამბობს, — ბოლშევიზმის გზა მისი უფსკრულისაა, და ჩვენი გზა მისი ალორძინებისაა.

ეს ზეპირი თქმა, საიდან გამოიყვანება დღევანდელ ობიექტიურ პირობებში ეს „ჩვენი გზა“, საიდან და როგორ გავედით ჩვენ ალორძინებისაკენ? — ბოლშევიკური ხელისუფლება, უმეველია, დაიქცევაო, — სწერს ნ. ჟორდანიას. რა იქნება შემდეგ? ამაზე ის გვეუბნება „ბრძოლის საკითხებში“, — ბოლშევიზმს სახიერი მემკვიდრე არ ეყოლება, ბოლშევიზმის

ხიდან დემოკრატიზმი არ ჩამოვარდებაო“. როგორღა ვიპოვნით, თუ ასეა, იმ „ჩვენ გზას“, რომელიც მისი ალორძინებისაკენ? ასე უნდა დადგეს საკითხი. ნ. ჟორდანიას არ აქვს ამ საკითხზე არავითარი პასუხი.

პასუხი არ არის მარტო იმის თქმა, რომ — საბჭოთა ძალა-უფლების დამარცხება საქართველოში ნიშნავს ხალხის სუვერენიტეტის აღდგენას, დემოკრატიის გაბატონებას; თავისუფლების დამყარებას და ბრძოლის საშუალებების გაფართოებას“.

ასე ადვილათ ჩვენ ვერ დავაიმედებთ ხალხს, ვერ შევპირდებით, რომ საბჭოთა ძალა-უფლების ჩამოგდება უთუოდ დემოკრატიის გაბატონებას საქართველოში. ისტორია არ შეასრულებს ამისთანა დაპირებას. ვითომ მოხერხდება ისე, რომ რუსეთში დარჩეს ბოლშევიზმი და საქართველოში დამარცხდეს? ან თავს დაანებებს რუსეთი საქართველოს, რომ აღარც იქ იქნეს ბოლშევიზმი?

აი ამ კითხვებში ნ. ჟორდანიას „წყალზე ფეხით გაჩერება“ მოუნდომებია. რუსეთი თავისთვის და საქართველო თავისთვისო, — ამბობს. ეს არის ტყუილი იმედი, უტოპია და, როგორც სჩანს, ნ. ჟორდანიას „ამ უტოპიის მსხვერპლი გამხდარა“.

საქართველოს არ მოეხსენება არც ბოლშევიკური, არც კადეტური, არც ესერული რუ-

სეთი. არც სოც.-დემოკრატიული რუსეთი მოეხსენება, რომ მოხდეს კიდევ სასწაული და გაჩნდეს ამისთანა.

ბერლინის ჟურნალში „Социалистический Вестник“-ში (რუსი მენშევიკების ორგანო) ამ სამი წლის წინეთ ეწერა: — თუ ეკონომიკური წინსვლელობისათვის საჭირო იქნა რუსეთთან ერთად ყოფნა, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ დარწმუნების ძალით (силой убеждения) პატარა ერებზე, რომ რუსეთთან იყონო. ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს საბოლოოთ силой убеждения. სადაც სიტყვა არ იკმარება, იქ იარაღი შევა ხმარებაში.

თუ საქართველო რუსეთს ვერ გამოეცლება, ცხადია, რუსეთისაგან დამოუკიდებლათ საქართველოში ვერაფერი დამყარდება. ნ. ჟორდანიას არ ეყოფა გაკვრით ლაპარაკი ამ საგანზე. ის მოვალეა გამოარკვიოს უფრო საფუძვლიანათ, რა ობიექტიური პირობებია იმის თავდები, რომ საქართველოს ექნება მეტი დამოუკიდებლობა ბოლშევიკურ ძალაუფლების შემდეგ.

საქმე იმაშია, ვინ იქნება ჩამოგდები ამ ძალაუფლების. ქართველ ხალხს „დამხმარე“ უნდა ეყოლოს. თუ დავხმარა ვინმე, ისე არ დავხმარება. რომ წინ არ წავიდოს, მთავარი სასიცოცხლო ძალები არ შეაღვივოს და მერე თავზე არ დააჯდეს. პოლიტიკაში მუშაობს

და უნდა ითქვას სიმართლე, რომ არა თუ მხოლოდ ჰენდერსონი, არამედ მაკდონალდიც, ტომასიც, მუდღე სწოდებენ და სხვები პირნათლად ასრულებენ საეკლესიო ქადაგებას.

„კაცთა შორის სათნობა და მშვიდობა ქვეყანასა ზედა“. „ზავი ყოველთა და ყველას შორის“ — აი მათი იდეალი. „ვინც გავაწნას ერთი სილა, მიუშვირე მას მეორე“, აი მათი ბრძოლის მეთოდი მუშათა მოძრაობაში.

და ამას ყველაფერს ჰფარავს მეორე ინტერ-
ნაციონალის კლასთა, ამას ყველაფერს ადას-
ტურებს საერთაშორისო მენშვეიზმის „უცოდ-
ველი“ პაპა — ნოხუცი კაუციკი.

კლასთა ჰარმონია, სამოქალაქო ზავი მათ
კერძოდ გადაუტყვევიათ, რომლის სამსხვერპლო-
ზედაც უტიფრად მიჰქვით მუშათა კლასის სა-
სიციოცხო ინტერესები.

ამ დღეებში „მუშათა მთავრობის“ ახალშენ-
თა მინისტრ ტომასმა, რომელსაც ინგლისის
მუშათა წრეებში აღმაცვრად უფურცბენ მის
აშკარა ანტიმუშურ პოლიტიკისათვის, შემდე-
გი განაცხადა ბანკირებისა და კაპიტალისტე-
ბის კრებაზე: „ვინ მაშინ ბრიტანეთის იმპე-
რიას, თუ დაღდა დღე, როცა საზოგადოებრივ
მოღვაწეებს როგორც არ უნდა იყვეს მათი
პოლიტიკური პლატფორმა ან საზოგადოებრივი
მდგომარეობა, კლასობრივ ცრუმორჩუნების
გამო არ ექნებათ უფლთა შესაფერისათ ადი-
ონს ადამიანები, რომელთაც სახელმწიფოსა-
თვის მნიშვნელოვანი სარგებლობა მოუტანიათ.
ვერახოდეს ვერ მივალწევთ ჩვენ რაიმე შე-
დეგს, ხანამ არ გავნთავისუფლებდით კლას-
იურ ცრუმორჩუნებისაგან და ვიწრო-პარ-
ტიულ ხელისაგან“.

ტომასის ასეთ სიტყვას ტაშის გრაილით შე-
გება ბანკირთა და კაპიტალისტების ბანკეტი.
ამაზე უყეთეს რას ნახავდა ან გაიგონებდა
მათი თვალი და ყური. მუშათა მთავრობის
წევრი, „სოციალისტი“ ტომასი კლასთა ბრძო-
ლის წინააღმდეგ, ცხერისა და მგლის ერთად
ძოვის მომხრე. მას სახელმწიფოს ინტე-
რესები „კლასიურ ცრუმორჩუნებზე“ მაუ-
ლა მიანია. მისთვის ჯერ სახელმწიფო, მისი
კეთილდღეობაა უმთავრესი — რაც შეეხება
„კლასიურ ცრუმორჩუნებას“, კლასთა ბრძო-
ლას,—ეს ის დამლუპველი გზაა, რომელიც

„ჩვენ რაიმე მნიშვნელოვან შედეგებამდე ვერ
მივადვივანს“.

ბარაქალა. მუშა-მინისტრიც ასეთი უნდა.
რატიმ არ დაუკრავს მას ტაშს ბურჟუაზია?
ინგლისის სოციალისტები ჰკვიანი ხალხია. ისი-
ნი „ბოლშევიკურ ყაჩაღებით“ როდი იქე-
ვიან, რომლებმაც დაარბიეს და ააწიოკეს სა-
კუთარი ჰეგენის ბურჟუაზია.

პატრიოტული გრძობა, „ბრიტანეთის იმპე-
რიის“ ინტერესები ამის ნებას არ მისცემს
ინგლისის „მუშა“-მინისტრებს.

მათ სამლოცველოს აღსავლის კარებზე მო-
ვარაყებულ ასოებით სწერია:

„სამოქალაქო ზავი; კლასთა ჰარმონია“.

ა. შე—ლი.

უსაფუკლო მუშარა.

მენშვეიკურ ცეკას დონიჯები შემოუღვამს,
ის კიდევ ვაჟაკობას იხემებს. ჯერ კიდევ შარ-
შან დაბეჭდილი და გაუფრცვლებელი პროკლა-
მაციები მას ეხლა ხმარებაში გაუშვია და გულ-
უბრყვლო მეთხველის თვალში ახალ საქონ-
ლათ ასაღებს.

ვინც პარტიიდან გადის, მან ჯერ ჩემი თან-
ხიზა უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევა-
ში ის მოლაღატეთა სიაში ჩაიწერება და ქარ-
თველი ერი მას სამარცხენო ბოძზე გააკრავს.
ასე ამბობს ეს უკაცრავად პასუხია ცეკას
მიერ შარშანდელი მიღებული რეზოლიუცა.

რა უნდა კითხო ასეთ გზა-აბნეულ ხალხს,
რომელიც ჯერ პოლიტიკურ პარტიის ისტო-
რიაში გაუგონარ ტრადიციებს თხზავს. სად
მომხდარა, რომ პარტიის ესა თუ ის წევრი,
როცა ის ვერ შეთანხმებია პარტიის პრაქტი-
კულ თუ იდეურ მხარეს, ორგანიზაციიდან

გასაცვლელად თვით ამ ორგანიზაციის თანხმო-
ბაში საჭიროებდა? ის მიდის, სტოგებს პარ-
ტიის რიგებს, მაშასადამე ყოველივე ვალდე-
ბულება პარტიის წინაშე მას მოხსნილი აქვს.

მენშვეიკური ცეკა — კი ამაში თურმე პარ-
ტიის დისციპლინის დარღვევის ხედავს და
დამნაშავეთ სასტიკი სასჯელის ემუქრება,—
სამარცხენო ბოძზე გაკვრას უქაჟის.

რათ დასჭირდა მას განმეორებით ასეთი
მოჩვენებითი საფრთხობელასათვის მიმართვა?
ჩვენ ვიცით, რომ 25 აგვისტოს ყრილობის
შემდეგ მენშვეიკურ პარტიის არალეგალურ
ორგანიზაციის ხელიდან ეცლებოდა მრავალი
აქტიური წევრები. დაბეჯითებით
შეიძლება ითქვას, რომ ის ხალხი, რომე-
ლიც დღეს იტაკ-ქვეშ ზის და პარტიის სახე-
ლით გრძელ-გრძელ, უშინაარსო პროკლამა-
ციებს აცხობს, თითზე ჩამოითვლება. ძველ
მუშებისაგან, გამოცდილ რევოლუციონერები-
დან დღეს მათთან აღარავინ არის.

ყველასათვის აშკარა და ცხადი შეიქნა, რომ
ისტორია, მომავალი თაობა მათ მადლობის
სიტყვით არ მოიხსენიებს საბჭოთა ხელისუფ-
ლებასთან ბრძოლისათვის. ყველა გვერდს
უხვევს, შორიდან უფლის დღეს იმ მრუდე გზას,
რომელზედაც საზღვარ-გარეთით მოსულდგმულ
ქართული სოც.-დემოკრატიული პარტია
დავას.

ამიტომ სულთ-მობრძავი ქართული მენშე-
ვიკური პარტია ერთ მხრივ ცდილობს გარს
შემოიკრიბოს ახალი წევრები ქართულ შოვი-
ნისტურ და უკმაყოფილო მემამულეების, ვაჭ-
რების, ინტელიგენციის წრიდან, რომელთაც
გულზე მალამოთ ხვდება ამ პარტიის დღევან-
დელი სიტყვა და საქმე, და მეორე მხრივ შე-
ირჩინოს, ან დაიბრუნოს როგორმე თავის რი-
გებში მის წიაღიდან წასული ხალხი.

ძალა, ინტერესი, ქველმოქმედება კი არა. ნუ
თუ ეს მარქსისტული ანბანი დაიწყებულა
დღეს?

მაგრამ, ვთქვათ, მოეწყო როდისმე ობიექ-
ტიური პირობები ისე, რომ საქართველოს
მოუხვდა გამოყოფა.—ინტერვენცია დამო-
კიდებული არა ჩვენ სურვილებზე, არამედ
სახელმწიფოთა ერთი მეორის ქიშპობაზე და
ინტერესთა კომბინაციაზე... რასაკვირველია,
შექმნილ ხელსაყრელ საერთაშორისო პირობე-
ბით ჩვენნი ხალხიც ისარგებლებსო,—სწერს
ნოე.

ერთი მეორის ქიშპობა და ბრძოლა თუ
იქნა რუსეთის გარშემო, რუსეთი ჩაებმება
ახალ მსოფლიო ომში. ომის შედეგი იქნება,
ვთქვათ, რუსეთის დანაწილება, განაპირა ერე-
ბის დაცალკეება, ალბათ, ამისთანა „ხელსაყ-
რელ“ საერთაშორისო პირობებზე ფიქრობს
ნ. ჟორდანიანი.

ისარგებლებს თუ ვერა საქართველოს, „ხელ-
საყრელი“ იქნება თუ არა ეს საქართველოს-
თვის? როცა სახელმწიფოთა ერთი მეორის
ქიშპობა და ინტერესთა კომბინაციებია*, მა-
შინ ძლიერი იმარჯვებს და სუსტი მარცხდებ-
და, ცალკე საქართველოს არ ექნება იმდენი
ძალა, რომ „ქიშპობას და კომბინაციებს“ გა-
უხვლოს. არც ისეთი ჰიროსოფალი მოველინება,
რომ მისი „მფარველობით“ წავიდეს აღორ-

ძინებისაკენ. არც ერთი კაპიტალისტური სა-
ხელმწიფო არ ჩაისვამს ასე კალათში საქარ-
თველოს და არ გაუწევს ამნაირ ჰიროსოფლო-
ბას.

პირიქით, საქართველოს მაშინ დაბალ ლო-
ბეთ შეხედავენ. ის შეიქნება ყველას ადვილი
ხელწამოსაკრავი და ფეხდასადგმელი. ყველა
მოქიშვე ნისკარტების ჩასაკორტნავათ გახდებ-
და. როგორ გონია ნ. ჟორდანიას, ინგლისი
ან საფრანგეთი გავეწივეს მაშინ, მაგალითათ,
მფარველობას და ფართოთ გავეიშლის ეკო-
ნომიური და კულტურული წინსვლის გზას?
მე ეს არ მეგონია. მე მგონია ამისთანა „მფარ-
ველი“ იხე ჩავვიხუტებს გულში, რომ სუნ-
თქვა გაგვიჩერდება. დავვისახელოს ნ. ჟორ-
დანიამ ისეთი პატარა სახელმწიფო მსოფლიო
ომის შემდეგ გაჩენილი, რომელიც სხვისი სა-
ნაყარდო არ არის, რომელსაც სისხლი არ
ეწოვება იმპერიალისტური წურბლებისგან.
ვერ დავვისახელებს.

არა, არ იქნება საქართველოსთვის ხელსაყ-
რელი, რომ ახალი მსოფლიო ომი ატყდეს,
ამან რუსეთის დანაწილება გამოიწვიოს და
საქართველო ცალკე სახელმწიფოთ გამოიყოს.
მაშინ ის იქნება Medchen für alles,* და უფ-
რო გაუჭირდება ბრძოლა დამოუკიდებელი
არსებობისათვის.

* ქალიშვილი ყველასათვის. რედ.

საქართველოს საკითხის გადასაჭრელათ არ
კმარა სოლომონ ზურგიელძისეცავით იმის მტკი-
ცება, რომ დემოკრატიზმი სჯობია ბოლშე-
ვიზმს. უნდა გამოირკვეს, რა ეკონომიურ სა-
ძირკველზე იქნება ეს დემოკრატიზმი. კაპი-
ტალისტურ სახელმწიფოებს აქეთ ფორმალუ-
რი დემოკრატია, მაგრამ ეს არ არის ის დე-
მოკრატიზმი, რომელსაც ეყრდნობა საერთა-
შორისო სოციალიზმი. კაპიტალისტური სა-
ხელმწიფოების „დემოკრატიზმზე“ ვერ გაიხა-
რებს სოციალიზმის ძირითადი პრინციპი—
ერთა თვით გამორკვევა. ინგლისი, საფრანგე-
თი და ამერიკა ფორმალურათ დემოკრატიუ-
ლი სახელმწიფოებია, და საქართველოში რომ
მათი კაპიტალი შემოვიდეს, ის არ მოინდო-
მებს ქართველი ხალხის სუვერენიტეტის აღდ-
გენას. ის აქ თავის საბატონო ტახტს დაიდ-
გამს მხოლოდ.

ნ. ჟორდანიამ ან უნდა შეავნებინოს საქარ-
თველოს სოციალ-დემოკრატიას ეს უდავო
აზრი, ან დაამტკიცოს, რომ მე შემცდარი ვარ
ამაში.

ბ. დევდარიანი.

(დასასრული იქნება)

ამით აიხსნება ის ბაქი-ბუქობა, რომლითაც საესეა ეს პროკლამაცია. მათ უნდათ ქვეყანას დაუმტკიცონ, რომ ჯერ კიდევ არ მომკვდარან, რომ ჯერ კიდევ უდგიათ პირში სული.

მაგრამ სად, ან როდის ნახა ვინმემ ამ უკანასკნელ წლინახევრის განმავლობაში მენშევიკურ პარტიის არსებობის ნიშან-წყალი. რომელი დემონსტრაცია, ან ფართე, თუ არა, უმნიშვნელო ხასიათის გაფიცვა მოაწყო მან? რომელი ლოზუნგებით, რა რევოლუციური სიტყვით მიმართა ამ პარტიამ ხალხს?

პარტიის არსებობა და მუშაობა განა მართო იმით უნდა განისაზღვრებოდეს, რომ თვეში ერთჯერ მუქარის ფურცელი გამოუშვა? ან ის ხომ არ მიაჩნია ვისმეს რევოლუციონურ რაინდობათ, რომ საზღვარგარეთიდან დროვამოშვებით მომავალი ავანტიურისტები ჩამოსვლისთანავე ჩეკის მოაჯირს იქით ექცევიან.

მენშევიკურ პარტიის დღევანდელი მოქმედება ლობის უკან შავ პროვოკაციის და უხეირო პროკლამაციების ბეჭდვაში გამოიხატება. მთელი ის სიტყვალთა კორიანტელი, რომლითაც საესეა ეს ფურცლები, ცალიერ ფრაზების რახა-რუხია. არც ერთ მათგანს საფუძვლად არ უდგია რეალურ განხორციელების შესაძლებლობა.

ამისათვის მასა საჭირო, მისა ორგანიზაციულად დარაზმული და შემქიდროებული და არა თითო-ორი იატაკ-ქვეშ მჯდომარე ნაკარქქვია ინტელიგენტი, რომელიც სამარცხვინო ბოძზე გაკვრით ემუქრება სწორი გზით მიმავალ ამხანაგებს.

ნუ თუ არც მაშინ დაანებებს თავს მუქარას ეს უბადრუკი ხალხი, როცა მათ ამისათვის ბოძებიც გამოილევათ?

ძველთაგანი.

ვ. ჯუღელი და პარტიის ბაგო.

ჩვენ ამას წინათ ვწერდით, რომ მენშევიკურ პარტიის სიკოტრე და უნიადავობა სხვათაშორის იმითაც მტკიცდება, რომ დღეს მას საშვალგება აღარ აქვს არალეგალურ მუშაობის საწარმოებლათ-თქო, ფართე მასა, რომელიც წინათ ასე თუ ისე მისდევდა ამ პარტიას, დღეს მას ჩამოშორდა.

უკვე ყველა დარწმუნდა მენშევიკურ პარტიის მაცდუნებელ პოლიტიკაში, ყველა ხედავს, რომ მისი დღევანდელი ჩაირკედლაობა უბრალო წყლის ნაყვია და სხვა არაფერი, რომლისთვისაც ისტორია მას მოლაღატის სახელით მონათლავს.

დაიჭრება ნიადაგი არალეგალურ მუშაობის, აღარავინ იხედება ამ პარტიისაკენ თანაგრძობის და მეგობრობის თვლით. მენშევიკური პარტიის რევოლუციური ელემენტი, ბრძოლაში გამობრძმედილი მუშა და გლეხი, აღარ არის ამ პარტიის რიგებში. საქართველოს სოც-დემოკრატია პოლიტიკურ ბალღების და გოგიტა ფაღავს ტიპის გუშინდელ „რევოლუციონერების“ ხელში ჩაყარდა.

დაიჭირეს ხომერიკი, დაიჭირეს ფალავა, დიჭირეს საზღვარ გარეთიდან ჩამოსული ბენია

ჩხიკვიშვილი, ვ. ნოდია, ნ. კახიანი და ნ აგვისტოს დააპატიმრეს ვალიკო ჯუღელი.

ისე დღე არ გაივლის, რომ საგანგებო კომისიას ხელში არ ჩაუყარდეს თითო-ორილა მენშევიკი.

ხალხი აღარ არის, თანაგრძობა გაჭქრა, პარტია ბედის მაცებარ ავანტიურისტებით და პროვოკატორებით აივსო.

ასსად არ მომხდარა, არც ერთ არალეგალურ პარტიის ბრძოლის ისტორიას არ ასსოვს ეს, რაც დღეს ქართველ სოც.-დემოკრატებს ემართება.

პარტია, რომელსაც წარსულში ასეთი დიდი გამოცდილება და ტრადიციები აქვს იატაკ-ქვეშ მუშაობის, პარტია, რომელმაც არალეგალურ ბრძოლის მთელი სკოლა გაიარა, დღეს ასეთ სასაცილო, საბრალო მდგომარეობაშია.

სანამდი უნდა გაგრძელდეს ეს? ნუ თუ საზღვარგარეთის ბიურო აღარც ეხლა დარწმუნდება, რომ მენშევიკური პარტიის აღდგენა საქართველოში ჩხიკვიშვილებს და ჯუღელებს აღარ შეუძლიათ.

პარტიის ძველ სახელს, მის წარსულს მაინც სცენ პატივი და ნუ ავლებენ თავზე ლაფს ისედაც დაცემულ და დამარცხებულ ქართულ სოც.-დემოკრატებს.

ხალხს აღარ უნდა თქვენთან ბრძოლა. უნდა გაიგოთ, უნდა იქონიოთ გამბედაობა ამ სინამდვილის თვალის გასასწორებლათ.

სოც.-დემოკრატის ყოფილ წევრთა მშრომელი ელემენტი თქვენ შერიგებისა და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ გეძახის, თქვენ-კი იარალით, აჯანყების გემებით მოდიხართ აქ.

ხომ ხედავთ რა შედეგი მოსდევს ამას? ამის შემდეგ მაინც დაეტიეთ თქვენს ტყავში.

მეორე ინტერნაციონალის შერცხვით მაინც, რას იტყვის რენოდელ, კაუტსკი, ჰიუსმანსი, როცა საქართველოში გამოგზავნილი თქვენი ავანტიურები ასე პანტასავით უცევივა ხელში საბჭოთა ხელისუფლებას.

წინ ვერ აღუდგა კავკასიონი რევოლუციის ატეხილ ზვირთებს; ისე დაყრუვდა „წმინდა“ სიონი, რომ შიგ დოდი აქვთ თავგებს და ვირთბებს.

ანადგურებენ კერპებს და ძეგლებს, „ღმერთებს“ ეხდება ნილაბი პირზე; „ბატონებს“ გზებზე უგებენ ეკლებს და ატარებენ მინისტრებს ვირზე.

სული ხვდებოდა ფეხებ-ქვეშ მუშებს და იცინოდა მეფე მტარვალის; აწმედინებენ თავადებს მუშებს და აზნაურებს არ აქვთ შარვალი.

ვინც გამოსქედა სხვისთვის ბორკილი ფეხებში ეხლა თვით ატლარუნებს; ციხეში ზის და თავს სცევივა რკილი, აწ იგი წარსულს ვერ დაიბრუნებს.

კონწარი

ნუთუ არც ამის შემდეგ დარწმუნდება ისინი რა „გავლენით“ და „სიყვარულით“ სარგებლობს დღეს მენშევიკები საქართველოში? ნუთუ მეორე ინტერნაციონალს ასე ქარზე სასროლი ეუღლები აქვს, რომ ამის შემდეგაც გაძლიოსთ სუბსიდები წყალწალღებულ საქმის გადასარჩენათ?

დროა თავი დაანებოთ ყოველივე ამას. დროა მოასვენოთ ქართველი მშრომელი ხალხი და თქვენი თავიც.

ბებერი მუშა.

წოგნიერთი ამხანაგ. შუსანავ.

ახლოდება 25 აგვისტო. მას განსაკუთრებული გრძობით ელოდება ჩვენი ამხანაგები.

ეს დღე იყო ჩვენი გზის აწონ-დაწონის და გადაფასების. ამ დღეს ჩვენი გზა საესეებით გადიხარა იმ მიმართულებით, რომელსაც ჩვენ ვშორდებოდით ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

ბევრი ამხანაგები გულისტკივილით იგონებენ წარსულს, ბეჭის ამ წარსულში, უშედეგოთ დახარჯულმა ენერგიამ და არსებითად რევოლუციის საწინააღმდეგოთ მიმართულმა საქმემ სამუდამოდ გაუტეხა გული და პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოაშორა.

დღეს ხშირად შეხვდებით ამხანაგებს, რომელთაც დიდი რევოლუციური წარსული და დამსახურება აქვთ, რომლებიც გვერდზე დგანან და არავითარ მონაწილეობას არ იღებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მენშევიკურ პარტიის მიერ ოქტომბრის შემდეგ აღებულმა ხაზმა და შემდეგ საქართველოს გასაბჭოებამ, რომელმაც ქართულ სოც.-დემოკრ. ნამოღაწარი და შინაგანი რეაქციონური შხარე თვალსაჩინო გახადა, სასოება დაუკარგა ბევრ ამხანაგებს და უიმედობაში ჩააგდო ისინი.

მე მგონია ეს მდგომარეობა არანორმალუ-

რია. კაცი, რომელიც პატარაობიდანვე რევოლუციონარული მოძრაობის შედეგად, რომელსაც ამდენი ღონე და ენერჯია შეუღწევია მუშათა საქმისათვის, გვერდზე ვერ გადავება მას არ ძალუფს, მას უფლებაც არა აქვს რევოლუციის და პოლიტიკურ ცხოვრების გარეშე იდგეს.

ჩვენი მოვალეობაა ასეთი ამხანაგების მუშაობაში ჩაბმა. აქტიური პოლიტიკური მუშაობაში. ჩვენ უნდა გავხედეთ ამ ამხანაგებისათვის ის შემრიგებელი გზა და ხიდი, რომელიც კიდევ ჰყოფს, კიდევ ანცალკეევებს მათ პროლეტარულ რევოლუციისგან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ვიყოთ და ეს სინამდვილესთან ახლოვდეთ არის, რომ ეს ამხანაგები, რომლებზედაც მე აქ ლაპარაკი მაქვს, ჩამოშორებული არიან მენშევიკურ პარტიის ყოველივე საქმიანობას. მათი სინამდვილესთან ახლოვდეთ არის, ვიდრე ძველი გზისაკენ.

საჭიროა ამ ამხანაგების გაყინულ წერტილიდან დაძვრა, საჭიროა მათი ამოძრავება. შემდეგ ისინი თვით განაგრძობენ სწორი გზით სვლას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამხანაგებს არ გაჰქრობიათ გულში კიდევ ძველი ნაპერწყალი. მე მჯერა, რომ მათ შეუძლიათ დიდი სამსახურის გაწევა რევოლუციისათვის.

არც ისე მოღუწებული მათში რევოლუციონური ძალა და აღტინება, არც ისე დაჩლუნგებულია ვერ მათი განება. ასეთ ამხანაგების რიცხვი საკმაოდ მოაზოვება და მე ვფიქრობ, რომ მათი კვლავ პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა დიდ საჭიროებას წარმოადგენს.

ეს პირველყოფისა ჩვენი მოვალეობაა. ჩვენ უნდა მივაქციოთ ამას მეტი ყურადღება.

ა. ხამხარაძე.

ქ. ხაშურის ყოფილ მენშევიკ მუშაების, გვარდიელთა და უპარტიოთა საპარტიო კრება

საქართველოს ს.-დემოკრატიულ პარტიის უკანასკნელ დღეების ვითარებამ, საზღვარგარეთიდან ჩამოსულ აგენტების დაჭერამ და პრესაში გამოქვეყნებულ ნ. ჟორდანიას წერილებმა, ხაშურის მუშებში დაბნელება ფართო კრების მოწვევის სურვილი, სადაც ეს კითხვები შესაფერისად უნდა გაშუქებულიყო.

სამისოდ 5 აგვისტოს ადგილობრივ ყოფილ მენშევიკთა ინციპატივით მოწვეულ იქნა მრავალრიცხოვანი კრება, რომელსაც დაესწრნენ თფილისიდან ჩამოსული ანხ. ანხ. ს. ფარნიევი და ა. ჭყონია.

სანამ კრება გაიხსნებოდა—დამსწრე მუშების შორის ხშირად გაიგონებდით: „რა უნდა ვიქნებოდა, რომ ჩამოსულა, ნუ თუ ასე კარგი მოგონება დასტოვა მან აქ?“ რათ არ გვასვენებს ეს ხალხი, ხომ აშკარაა, რომ მათ შავ საქმეს აღარავითარი გასაყალი არა აქვს.“ „ალბათ ბენიას კვლავ საკუთარი განუკითხავ პარპაზის დაბრუნება უნდადა, ან ძველი ცოდვების გამოსყიდვა.“

კრებას სურამიდან საგანგებოთ ჩამოსული ამხანაგებიც დაესწრა.

ქართული ხალხი ზიზლით შეხედება პროლეტარულ რევოლუციისათან იარაღით შებრძოლების ყოველივე ცდას. ეს იქნება საკუთარი თავის თვითმკვლელობა, ჩვენსავე მკერდში ჩვენი ხელით დანის ჩაცემა—

ასე ამბობს ერთხმით მიღებული რეზოლიუცია.

კრების წესრიგში იდგა ნ. ჟორდანიას მიერ საზღვარ-გარეთ გამოცემულ ბროშურების და უკანასკნელ წერილების განხილვა. კლუბის დარბაზი გაიქედა დამსწრეებით. კრება, რომელიც მომეტებით მუშებისაგან შესდგებოდა, სამი საათის განმავლობაში სულგანაბრული უსმენდა თბილისიდან საგანგებოდ მოწვეულ მოხსენებლებს.

პრეზიდენტი დაწყებული, რომელშიც შედიოდა ხაშურის ისეთი ძველი მუშები, როგორიც სიმონ ბაბლიძე, სანდრო ნოზაძე, მანჯგალაძე, ვ. ბერაძე და ლომიძე არის, კლუბის დარბაზს ამშვენებდა ძველი მუშების ქალბატონი.

როგორია ჟორდანიას დღევანდელი პოზიცია? მართლა მის კალამს ეკუთვნის უკანასკნელი წერილები, თუ ავანტიურისტთა უბასუსხის მგებლო ჯგუფს? ნუ თუ ჟორდანიას სჯერა, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან იარაღით ბრძოლა რაიმე ნაყოფს მოუტანს მუშათა კლასს? ნუ თუ მან შეთხზა ის ჯოჯოხეთური აჯანყების გეგმა, რომლის განხორციელებაც ქართველ მშრომელ ხალხს სისხლის მორევში გადაისროდა?—აი ის კითხვები, რომელიც წინ ედგა კრებას.

ხაშურის მუშებს, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა პუნქტის მუშებს, რომლებსაც ახსოვს ოდესღაც ამყად მოფრთხილე ს.-დემოკრატიის წითელი დროშა, ვერ წარმოუდგენიათ, რომ ეს პარტია და მისი ლიდერი ნ. ჟორდანია ასე დაკნინდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მენშევიკურ პარტიამ კარგა ხანია ლაფში ამოსვარა მთელი თავისი წარსული, მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიამ დიდი ხანია კლასიური დროშა ეროვნულზე შესცვალა, ქართველ მშრომელ ხალხს, ვერ სჯერა, არ უნდა დაიჯეროს ამ პარტიის ასე საბოლოო და სამუდამო გაკოტრება.

მაგრამ ფაქტი ფაქტით რჩება. სინამდვილეს ვერაინი გაქცევა და ხაშურის ყოფილ მენშევიკ-მუშების გაფართოებულ კრებამ ერთხელ კიდევ ხმა-მალა განაცხადა თავის გულისწყრომა იმით მიმართ, ვინც ასეთ დღემდე მიიყვანა პარტია და ვინც ეხლაც, თავის დაუცხრომელი კონტრ-რევოლუციონარული ჩხირ-კედელაობით, მშრომელი ხალხის კეთილდღეობას უთხრის ძირს.

ანხ. ს. ფარნიევის ვრცელმა და დასაბუთებულ მოხსენებამ, რომელიც ღრმა ანალიზს უკეთებდა პარტიას წარსულში და აწმყომი და თავის დებულებებს პირადი მოგონებებით, კონკრეტულ მაგალითებით ასაბუთებდა, ყოველივეს ფარდა ახადა. ანხ. ა. ჭყონიამ „ერთობის“ ამონაწერებით დაამტკიცა, თუ როგორი იყო მენშევიკური პარტიის პოზიცია ეროვნულ კითხვაში ადრე, და როგორ იცვლიდა ის ფერს თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

მოხსენებების დასასრულს ილაპარაკა ძველმა მუშამ ანხ. ვანო ძაძაძიამ, რომელმაც მხატვრული მაგალითებით აუხსნა დამსწრეთ თუ რატომ მოხდა მუშა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის განხეთქილება.

ილაპარაკა კიდევ ანხ. ლომიძემ. აღსანიშნავია ანხ. ს. ფარნიევის მოხდენილი ოხუნჯური კილო, რამაც კრება მეტად კმაყოფილი დასტოვა.

დასასრულ კრებამ ერთხმით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ქ. ხაშურის ყოფილ მენშევიკ, თანამგრძობთა, ყოფილ გვარდიელ და უპარტიო მუშათა საერთო კრება, გაეცნო რა ანხ. ს. ფარნიევის და ა. ჭყონიას მოხსენებებს ნ. ჟორდანიას უკანასკნელ წერილების შესახებ, სცნობს:

რომ ამ წერილებმა დაამტკიცეს ქართულ სოც.-დემოკრატიის სრული რევოლუციონური სიკოტრი და მენშევიკურ პარტიის უკანასკნელ ყრილობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს საფუძვით ადასტურებენ.

თანამედროვე კაპიტალისტურ და ფართე ალბ-მიცემობის ხანაში საქართველოს რომელიმე სახელმწიფოს კავშირს გარეთ ყოფნა წარმოუდგენლათ მიგვაჩნია. ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს და მოსარჩლეობა გაუწიოს ქართველ მშრომელ ხალხს—ესაა საბჭოთა რესპუბლიკების მტკიცე კავშირი. ქართველი ხალხი ისტორიულად, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთის გზით მიდიოდა და აქეთვე განაგრძობს სვლას ეხლაც რუსეთის მშრომელ ხალხთან მეგობრებაში.

ნ. ჟორდანიას უკანასკნელი წერილები, რომელიც აღსავსეა საბჭოთა ხელისუფლებასთან შეურიგებლობით და აჯანყების განუზოციელებელ გეგმებს ისახავს, ლოლიკური დასკვნაა, იმ საქმის, რასაც აკეთებდა ქართული სოც.-დემოკრატია თებერვლის რევოლუციის პირველ დღეების შემდეგ.

ქართველი ხალხი ზიზლით შეხედება პროლეტარულ რევოლუციისათან იარაღით შებრძოლების ყოველივე ცდას. ეს იქნება საკუთარი თავის თვითმკვლელობა, ჩვენსავე მკერდში ჩვენი ხელით დანის ჩაცემა.

დღეს ჩვენმა მხარემ და მთელ საბჭოთა კავშირმა დაისვენა ეროვნულ ხოცვა-ჟლეტისაგან, დღეს მოსპობილია შინაური არე-დარევა, დღეს აღარ იღვრება სისხლი გარეშე ფრონტზე. საბჭოთა კავშირის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და ვინც ჩვენ ეხლა კიდევ იარაღის ასახამათ, ძმათა სისხლის დასანთხეად და საბჭოთა სისტემის, ძალაუფლების ჩამოგდებისაკენ მოგვიხმობს, ის ჩვენი აშკარა მტერია და ჩვენს რისხვას, ღრმა გულისწყრომას დაიმსახურებს.

ჩვენ ერთხელ კიდევ მოუწოდებთ ყველა გზა-აბნეულს, ვინც კიდევ სხვისი იმედით სულ-დგმულობს, ვისაც მუშათა მთავრობის უბედურებაზე თავის კეთილდღეობა უნდა ააშენოს, ვისაც ევროპის კაპიტალის იმედით უდგას სული, გონს მოვიდნენ, თავი დაანებონ უშედეგო და მანებელ ბრძოლას, დაბრუნდნენ რევოლუციის ჭეშმარიტ გზისაკენ.

ჩვენ-ქი ყველას გასაგონათ ხმა მაღლა ვა-

ცხადებთ, რომ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ვართ, პროლეტარულ სახელმწიფოს ვაშენებთ.

ამ გზისაკენ მოუწოდებდა მარქსი მთელ მსოფლიოს მუშათა კლასს და ამ გზითვე მივიღოთ ვართ ჩვენ დღეს. ყოველივე წინააღმდეგობას ამ გზაზე ჩვენ დაუწინაოებლად შევიბრძოლებით.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალიზმს!
გაუმარჯოს მის მებაიარახტრე—მესამე ინტერნაციონალს!

კრება მეტად ნასიამოვნები დაიშალა საღამოს სუთ საათზე. საქირია ასეთი მოხსენებების ხშირით გამართვა და მუშათა ფართე მასსათვის დროგამოშვებით ინფორმაციის მიწოდება.

საზურელი მკედელი.

გვინდა თუ არა გურჯაანული ხელოვნება.

(დასასრული)

ასეთი შეცდომის განმეორება მით უფრო მიუტყეველი იქნება ახალი შემოქმედებისთვის, რომ მას ამის მაგალითი თვალწინ აქვს. ეგრედ წოდებულ ფუტურისტებმა, რომელიც წარმოშვა კაპიტალისტურ საზოგადოების ხელოვნებამ თავის სიბერის დღეს და, რომელშიც ინდივიდუალიზმმა თავისი უადრესი განვითარება ჰპოვა, ხელი ჰკრა ყოველივე ძველს ხელოვნებაში, უარყო მისი სტილი, რითში და შინაარსი; ძველი ხელოვნების სიმდიდრე საარქივოდ გამოაცხადა და ფეხი შესვა დამოუკიდებელ შემოქმედების გზაზე. სინამდვილეში მივიღეთ წმინდა აბდა-უბდა; რაც შორს არის სიზმარში ბოდვასთანაც კი; რაც სრულიად არ ეკარება ადამიანის გრძნობასა და გონებას. თვითონ ფუტურისტ მწერალს საქმე არა აქვს სხვის გემოვნებასთან. რისთვის ნაწარმოებები მით უფრო ძვირფასია, რაც უფრო გაუგებარია ის ფართე მასსათვის. ის იმი-თავ ბედნიერია, თუ საკუთარი ქმნილება მხოლოდ მას აკმაყოფილებს. ამნაირად კაპიტალისტურ საზოგადოების ანარქიამ და უკიდურეს ინდივიდუალიზმმა თავის კერძო საკუთრების უსაზღვრო ფეტრშიზმით განვითარების აპოკეას მიაღწია. ის გრძნობს თავის დასასრულის მოახლოებას და გარბის საზოგადოებიდან.

სურს მოსცილდეს მას, შეგჭმანს ცალკე ბედნიერების ციხე-სიმაგრე, რომელსაც ვერ მისწვდება სხვა ადამიანის ხელი და ჩაიკეტოს შიგ არა მარტო ნივთიერი, არამედ სულიერი და გონებრივი სიმდიდრეც. მაგრამ ინდივიდის ეს ავთომყოფური სეპარატიზმი, ეწინააღმდეგება განვითარების გარდაუვალ კანონებს. ის მოკლებულია მტკიცე ნიადაგს. თვითონ ცხოვრება თავისი ცვალებადობით და წინააღმდეგობით უნებობს ადამიანს ადამიანისაკენ. არსებობის პირობები თავის თავად იწვევს ორგანიზაციის და მთლიანობის აუცილებლობას.

პროლეტარიატი, როგორც ბუნებით ორგანიზაციულ და კოლექტივისტური სოფლმხედველობით გამსჭვალული კლასი, ამ ანარქისტულ სტიქიას დაუპირისპირებს მიზანშეწონილ და შეფარდებულ მოქმედებას, მისი იდეალი

არც ინდივიდუალურია და არც კლასიური. ის არც ეროვნულ ჩარჩოებით განისაზღვრება; მის მისწრაფებას ახასიათებს საერთოკაცობრიული ინტერესები. ამ მხრივ ყველა ქვეყნის პროლეტარიატი, როგორც ერთ იდეასათვის მებრძოლი კლასი თავის გამარჯვების დღეს საერთო კაცობრიულ ზეიმის სუფრაზე მიიტანს იმ ავლა-დიდებას, რაც ამა თუ იმ ხალხს ჟამთა ვითარებაში შეუქმნია და, რაც ახალ ქვეყანას გამოადგება.

ის კულტურული საუფრე, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებიდან მეგვიდრობით ერგო პროლეტარიატს, მდიდარია ასეთი ელემენტებით. საუკუნეობით ჰქმნიდა მას კაცობრიობა, მთელ თავის გონებრივ და სულიერ ძალას აქსოვდა შიგ ადამიანი.

კერძოდ საქართველო, როგორც ყოველი ქვეყანა, თავის არსებობის განმავლობაში ჰქმნიდა ავრეთვე საკუთარ კულტურას. ამ მხრივ ქართული მხატვრული ლიტერატურა უფრო წარჩინებულ მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე ქართული ხელოვნების რომელიმე სხვა დარგი, ან თვით მეცნიერება. ქართულმა ლიტერატურამ თავის არსებობის ისტორიაში ორჯერ განიკადა აყვავება. პირველი მისი განვითარება მოდიოდა უძველეს დროიდან ვიდ-

რე XIII საუკუნემდე. შემდეგ ის დაეშვა და მიღწემა მე XIX საუკუნის დასაწყისამდე, და ეხლა, როცა საქართველო მოქცეულია სოციალისტურ რევოლუციის ორბიტაში, როცა მისმა ლიტერატურამ რუსეთის მწერლობასთან ერთად განვითარების ყველა ეტაპები განვილო, ბუნებრივად პროლეტარულ ხელოვნების აღორძინება და განვითარებაც. თუმცა სუსტად. ვერ კანტი-კუნტად, მაგრამ უკვე გაისმის ახალ მიმართულების მოციქულთა ხმა.

დადგა დრო, როცა ქართველმა პროლეტარიატმა უნდა მოიკითხოს კულტურული საღამოები და თავის წვლილი შეიტანოს საერთოკაცობრიულ კულტურის შექმნაში და განვითარებაში.

ეკონომიურ და პოლიტიკურ დიქტატორის გვერდით უნდა შეიქმნას პროლეტარიატის იდეოლოგიური, კულტურული დიქტატორიც. ამ უკანასკნელში ისეთივე წვლილი უნდა გაილოს ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც ასე მდიდარია თავის ძველი კულტურით, როგორც პირველში და მეორეში. მაშინ განმტკიცდება მუშათა კლასის ბატონობა, მაშინ განიწმინდება ხელოვნება საბოლოოთ ძველი ქვეყნის ნაანდერძვე ცოდვებისაგან.

ა. ჯ.

მუშათა ფარელები

მუშაობა ზროვისციანში.

(წალკის რაიონი).

წალკის რაიონი—დიდი რაიონია, რომელიც შეესდგება 45 სოფლისაგან. მცხოვრებლები უმთავრესად ბერძენები არიან, მაგრამ სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ თათარულად ლაპარაკობენ და დღეადეა არ იციან. გლეხები ცხოვრობენ მიწის ბანიან სახლებში საქონელთან ერთად. ერთი სიტყვით, რომ ნახოთ, თვალწინ წარმოგიდგებათ პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება. ამ რაიონის მცხოვრებლები უმთავრესად მისდევენ მეჯოგეობას, ვინაიდან, როგორც მოგახსენეთ, ბუნება ამას მეტად უწყობს ხელს. მხოლოდ აქამდის, როგორც გადმოგვცეს, მცხოვრებლები ვერ სარგებლობდნ რძით ისე, როგორც ეს შესაძლებელი იყო. ეხლა კი თანდათან აწყობენ პატარა ქარხნებს, სადაც კეთდება საუკეთესო ხარისხის შვეიცარიის ყველი და მასთან ერთად კარაქი. ერთი სიტყვით, რამდენიმე ხნის შემდეგ ეს რაიონი გამოიტანს ბაზარზე იმოდენა ყველს და კარაქს, რომ თბილისი თითქმის უზრუნველყოფილი იქნება რძის პროდუქტებით. მხოლოდ ერთ რამეს უნდა მიეჭეს ჯეროვანი ყურადღება. აქაური მცხოვრებნი—მეტად ჩამორჩენილი არიან კულტურა-განათლებისაგან.

ჩემი აზრით ამის მიზეზი არის ის, რომ გზები არ ვარგა და ამიტომ, როგორც ქალაქს მოწყვეტილი რაიონი, ძალიან ძნელია მუშაობა. ამ გარემოებას ქალაქის აღმასკომმა მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და გაიღო 17,000 მანეთი ამ გზების შესაკეთებლად. მას შემდეგ, რაც გზა იქნება შეკეთებული და ნორმალური მიმოსვლა შესაძლებელი გახდება, გაჩაღდება იქ კულტურული წინსვლელობა და ახლო მომავალში ეს მხარე შეიქნება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო კუთხედ.

ვასო.

ძოაქსტრეკეთ ხილით ვაჭრობა.

შუა ზაფხულია უკვე. დიდი სიციხეები დგას. ქალაქში აურება ხილია შემოტანილი. მაგრამ ამ ხილს კარგის ნაკლებად შეუძლია უზედურება დაატეხოს თავს თბილისის ღარიბ მცხოვრებლებს. ჩვენ ვიცით, რომ ხოლგერა, ტიფი და სხვა ვადაძღები ავთომყოფობანი უმეტეს ნაწილად ღარიბ მოსახლეობის სტუმარია აქ იდგამს ის ფესგს ყველაზე უფრო მაგრათ.

ამიტომ ხილით უთავბოლოთ და დაუდგვრათ ვაჭრობა, როგორც ამას დღეს აქვს ადგილი, ყოველად შეუძლებელია. თუ თავიდანგნე ზომები არ იქნა მიღებული, ჩვენ შეგვიძლია მეტად სამწუხარო ფაქტის წინაშე დავდეთ.

ყოველად შეუძლებელია, მაგალითად, ხილით ვაჭრობა ქუჩებში, პირდაპირ მიწაზე დადგმულ თაბახებით, ტროტუარზე გამოფენილ ყუთებით. ჯერ იმ ქუჩებზე, სადაც ტრამვაი უდგება და დღემო რამდენჯერმე ირწყვება, მტვერი მაინც საკმარისია. სხვა ქუჩებზე კი მთელი დღის განმავლობაში დგას მტვერი, რომელიც ზოგჯერ მეტად ვადაძღებულ ხილს აჯდება და ზედ ეკვრის. გულუბრყვილო მოქალაქე ყველა ამ ქუჩებს ხილთან ერთად ჰყლავებს.

ქალაქის აღმასკომი მოვალეა, სანამ ვვინ არ არის, მიხედოს ამას. თუ ხოლურასთან ბრძოლას მის წარმომშობ მებეზების მოსპობიდან არ შეუდევით, ისე ძნელია მისი სრულიად აღმოფხვრა, საცა ის ვადაძღამ ფესს. სასტიკათ უნდა აიკრძალოს ღია ქუჩებში და თაბახებში ხილით ვაჭრობა.

მუშუკობი ხ. ფანჯულიძე.

ამ ბოლო დროს ჩვენს ქარხანაში ძალიან გახშირდა მავარ სასმელების ზომბზე მეტად ხმარება. ხშირად შეხვედებით ჯამაგირის მიღების დღეს მუშებს, რომლებიც კერძო ვაჭრების, მიკიტნების სარდაფებში ჩადიან და თავის ნამაგარს ზოგჯერ მთლიანდაც-კი ღვიწხოსა და არაყში ხარჯავენ.

ოჯახში მათ ცოლშვილი ელოდება, რომელიც მოლოთმენლად უცდის იმ დღეს, როცა სახლის კარი ჯამაგირს მოიტანს და აუარება მოთხოვნილებებს რამდენიმეთ დაიკმაყოფილებენ.

სამწუხაროთ ასეთი ამხანაგები ჯამაგირის ალებს მეორე დღესვე უფულოდ არიან და რომ შიმშილთ არ ამოწყდენ, ვალებს იღებენ.

ამნაირათ მუშა ზნეობრივათ ეცემა და ის, საცებით რჩება ორგანიზაციულ მუშაობას. ოჯახი-კი მთელი კვირაობით შიმშილობს და ხელმოკლეობას განიცდის.

ადგილკომის კულტგანყოფილებამ ამას თვალყური უნდა ადევნოს და ის ამხანაგები, რომლებიც ასეთ რამეში არიან შემჩნეული, განსაკუთრებულ ზედვალენის ქვეშ უნდა იქნენ დაყენებული.

მათ უნდა შევანებინოთ რამდენად სახარალო და სამარცხენია მუშისათვის ასეთი საქციელი. ლოთობა ანადგურებს მუშებს ნივთიერად, ფიზიკურად და ზნეობრივად. ის ჩირქს სცხებს მუშის პატიოსან სახელსაც, რომელსაც ეხლა ყველა ასეთი პატივისცემით იხსენებს.

უნდა ძირბუდინათ აღმოფხვრილი იქნას ეს ჩვენი დამამკირებელი ჩვეულება. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუტყდომთ ლოთობას.

სამკედლო ცეხის მუშა კერვალიძე.

მოგვეცით სუფთა წებალი

ამ ბოლოხანს ქალაქის აღმასკომს დიდი მუშაობა და საქმიანობა დაეტყო. ქალაქი გადასხვაფერდა გარეგნულათ. გაშენდა ორი მშენიერი ბაღი ვერაზე, იკარწყლება ქუჩები, იღებება ტრამვაის სვეტები, ძველი სახლები ინგრევა და ახლის შენებას უდგებიან. მომრავლდა კომპერატივები. ტრამვაიც წესიერად მუშაობს. ერთი სიტყვით აღმასკომის მუშაობას წუწნს ვერავენ დასდებს. მაგრამ ბევრა კიდევ წინ გასაკეთებელი.

ქალაქში მოწოდებები გამოკრული ხოლვერის აცრის შესახებ. ხოლვერის უმთავრესი მიზეზებია, როგორც ვიცით, ჯერ ხილი და მერე წყალი, ხილზე ეხლა არაფერს ვიტყვი, თუმცა აქაც ბევრი რამაა მოსაწყისრიგებელი. მთავარი იარაა, რომ მთელი ქალაქის ასე ფართოდ სახმარი საგანი, როგორც წყალია, ვერ არის დამაკმაყოფილებელი. დღეს ონკანიდან გადმოდის მოყვითალო წყალი.

არც ერთ ქალაქის წყალსადენში ასეთ მდგომარეობას არა აქვს ადგილი. ყველგან: ბათუმში და ბაქოში წყალი ბროლივით ანკარა გადმოდის ონკანებიდან.

რას უნდა მიეწეროს ეს, რომა სუფთა წყალით თბილისი დღესაც ვერაა უზრუნველყო-

ვე ჩვენი სახე ოფლში გამდნარი რაოდენ უცხო რამის მიქმელია. მუდამ ვიბრძოდით გამარჯვებისთვის და დღეს ალამი ხელთ გვიჭერია.

ბევრჯერ ყვაე-ყორნებს ჩვენს სამეთოსკენ ბასრი კლანჭებით მოუწყვია, მაგრამ ყველა მათ ცივი სამარე,— გულზე სისხლი და ცრემლი სდენია.

ჩვენი სიმღერა, შეტევა ღმერთის შიშის ზარს მოგვრის მტრავალთ ქვეყანას. მტრების ბანაკში თმებს გაიწევენ ბევრიც ჩაიცემს გულში მკრულ დანას...

მაშ დავკრათ მედგრად... მტერთ შემემსრავი ბრძოლის ყიფინა არ შესწყდეს ველზე...

ჩვენ წილად გვერგო მსოფლიოს ბედი, რომ გამოვსკედოთ ცეცხლის ფერ გრდემლზე.

გრ. უშაფათელი.

1924 წ. I აგვისტო, ქ. თფილისი.

ფილი ნუ თუ ასე უქირს აღმასკომს დაწმენდილ წყლის მოწოდება?

ჩვენ ეხლა დაზღვეული არა ვართ იმისგან, რომ წყალსადენის მოწოდებულ წყალში არ იქნება ვიბრიონები. ამდენ ჭუჭყთან, რომელიც მას ახლავს, შესაძლებელია ყველაფერი იყვეს. ჩვენ გვახსოვს ბ. ბენია ჩხიკვიშვილის მოღვაწეობა თბილისის მოურავობის დროს.

მაშინ წყალში ყველაფერს იპოვიდით საკუთარ თავის გარდა. მაგრამ ეხლა, როცა აღმასკომმა ამდენი სასახელო საქმე გააკეთა, ქალაქის მდგომარეობა ასე გააუმჯობესა, მას არ შეუძლია არ მიაქციოს ყურადღება წყალსაც.

მართალია წყალი ხანგამოშვებით არის ხოლმე მოყვითალო ფერის, მაგრამ დროა ამასაც ბოლო მოელოს.

მწყურვალე მუშა.

წერტილი ბაქოდან

31 ივლ. მშენიერ სანახაობას წარმოადგენს. ჯერ კიდევ დილიდანვე გავრცელდა ხმა, რომ ამ საღამოს 4-სათიდან ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოეწყობათ. რკინის გზის მუშებში უკმაყოფილების კილო გამოსკვივის, ეს უკმაყოფილება გროვდება ნაშვადღევის ოთხამდის—და ოთხ საათზე კი ხელდავ, რომ ზღვის ტალღასავით მოდიან მუშები საღმურისაკენ. ყველა ორგანიზაციის, პოლიტიკური ის თუ პროფესიანალური, მოაქვს დროშები, რომელზედაც არის მარქსისა და ლენინის, სურათები. საუცხოვოთ, მჭერმეტყველურათ ასურათებენ ორატორები კაცობრიობის გამანადგურებელ ომის შედეგებს. ტალღა ხალხი წყევა-კრულვას უგზავნის მის გამომწვევ ბურჟუაზიას, რომელსაც უნდა ომი გამოიყენოს საკუთარ ჯიბეების გასასქელებლათ. ეს დღე, 31-ივლისი, განსაკუთრებული დღეა მუშათა ცხოვრებაში მით, რომ 1914 წ. გაფიცვის დროს გამოცხადდა ომი თუ არა, ეს უამრავი მუშათა ჯარი უსიტყვოთ გადაეგვა ომის კონკონში. დღეს კი მის 10 წლის თავზე ეს უა-

მრავი ხალხი, ბაქოს პროლეტარიატი, სულთათანას უვალობს 2-ინტერნაციონალს და მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ დარაზმული იარაღით ხელში დგება შრომის დაცვის სადარაჯოზე და გაიძახის: გაუმარჯოს შრომის სამეფოს სოციალიზმს და ძირს იმპერიალისტური ომი და მისი ხელის შემწყობნი. გაუმარჯოს საერთაშორისო მშვიდობიანობას და მის დამცველ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალსო, როცა ჩვენს პროტესტს, ევროპის პროლეტარიატიც გამოეხმურება, მაშინ მშვიდობით საერთაშორისო ბურჟუაზია! თქვენ უფლება მოგეცემათ განისვენოთ წილისა აბრამისასა. გაუმარჯოს შეერთებულ ძალას!

ს. ხეჩია.

ახალგაზრდებო, კომკავშირისკენ.

დღეს ჩვენში ყოველი პატიოსანი მშრომელი თანაუგრძნობს საბჭოთა ხელისუფლებას.

მაგრამ სამწუხაროთ ბევრი ამხანაგები ახ. მარქსისტებიდან, რომლებიც აქტიურად თუ პასიურად მონაწილეობას იღებდენ თვითლიკვიდაციის საქმეში, მიუხედავთ იმისა, რომ გულწრფელად დაგმეს ძველი გზა და დარწმუნდენ ახალის მიღების სისწორეში, დღემდე არ აცხადებენ სურვილს პარტიაში შესვლის შესახებ. არ შეაქვთ განცხადება. რალაც გაურკვეველ მიზეზის გამო განდგომილი რჩებიან, რაც ხშირად გაუგებრობას იწვევს.

ასე მაგალითად სენაკის მაზრაში. რასაკვირველია ყველა ის ავანტიურისტები, რომლებიც ისარგებლებენ „ყოფილი“-ს სახელით და განაგრძობენ მუშაობას კონტრ-რევოლუციის რიგებში, სასტიკად უნდა დაინაჯოს.

საჭიროა აუცილებლად ყველა იმ ამხანაგებმა, რომლებმაც გაბედულად, გულწრფელად, რევოლუციონური სინდისის ქვეშ დაგმეს ძველი გზა, გამოიჩინონ აქტივობა, არ გად-

გენ განზე და თავიანთი ერთგულება მუშათა კლასისადმი დაამტკიცონ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით.

ამას მოითხოვს რევოლუციის ინტერესი. თითოეული ყოფილი ახ.-მარქსისტი, იქნება ის მუშა, მოსამსახურე, მასწავლებელი, თუ მოწაფე უნდა დაუხალხოდეს კომპარტიისა და კომკავშირის მუშაობას. მოწაფეებს საშუალება ეძლევათ იმეცადინონ სკოლებთან არსე-

ბულ მარქსისტულ წრეებში, კომკავშირის ძირითად უჯრედებში. ამის შესახებ სათანადო ინსტრუქცია უკვე მიღებული აქვთ ცეკასავან კომკავშირის ადგილობრივ ორგანოებს. კომპარტიის მე XIII ყრილობამ კარები ფართოთ გაუღო ყოველ პარტიოსან მუშაკს. ის მით უმეტეს ღიაა მარქსისტისათვის, რომელიც ღირსი იქნება ატაროს მარქსისტ კომუნისტის დიდი სახელი.

სენაკელი ახალგაზრდა.

მ თ წ ი რ ი ლ ი ა მ ბ ე ბ ი

ქალ. თ ე ლ ა ვ ი

პროვოკატორები მაინც განაგრძობენ თავიანთ „მოღვაწეობას“...

ეს ვაჟბატონები დიდიდან-სალამომდი სისინებენ და შხამს და ბალღამს ანთხევენ მთელ არემარეს...

ჭორიკანა, ვაიძვერა, უბრალო მეშინანები ამ სიცხე-პაპანაქებაში ამა თუ იმ ბალღის სიგრილეში თავმოყრილი ბაასობენ, მუსიაფობენ „ახალ ამბებს“ უზიარებენ ერთიმეორეს.

ახალი ჭორებია:

„რუსეთში დიდი გვალვაა, ხალხი პანიკას განიცდის და სასოწარკვეთილებას მიცემულნი მოელიან 1920—21 წლების ისტორიის განმეორებას“.

მეორე ჭორი:

„ამ რამდენიმე დღის შემდეგ, ფაბრიკა ქარხნების ნაწარმოებების ფასები ერთი ორათ აიწევს, მაგალითად მანუფაქტურამ უნდა 50% მოიმატოსო და სხვა“. ან არა:

„უსათუოდ ომი იფეთქებს, ისეთი სუნი ტრიალებსო და ამაში რუსეთი უეჭველათ მონაწილეობას მიიღებსო, საბედისწერო იქნება ბოლშევიკურ ხელისუფლებისთვისო“...

სიტყუე — ჭორი, უხვედ ვრცელდება უსაქმო მოლაყებების მიერ საქართველოს ყოველ კუთხეში და, როგორც „ნამდევლ“ „უტყუარ“ წყაროებიდან მიღებული, აწვდიან ხალხს.

ამ საცოდავ, უბადრუკ ხალხს ხომ არ გონიათ გადმოსროლილ ანეკსზე წამოაგონ მშრომელი ელემენტები?

მშრომელ პროლეტარიატს და გლეხეცობას უკვე გზა გაკვლეულია აქვს, მას ნათლათ და მკაფიოთ აქვს ვათვალისწინებელი თავისი წარსული, აწმყო და მომავალი. ისე რომ, უბრალო მეშინანების და საზღვარ გარეთიდან მოვლენილი „მამულიშვილების“ ასეთი თავხედური ჭორები და მათი მტრული მოპყრობა ვერაფერს დააკლებს გასალკდევებულ პროლეტარულ სახელმწიფოს.

ვ. დავითიანი.

სოაგ. წყნეთი.

სულ ერთი კვირის წინათ მე ვსწერდი, რომ აქ არ არსებობს კოოპერატივი თქო და მთელი სოფელი მიტოვებულია ადგილობრივ კერძო ვაჭრების თვითნებობაზე. დღეს კი უკვე არსებობს კოოპერატივი და ბევრათ გამოკვლილა მდგომარეობა. ჰური, შაქარი, ხორცი, ფართალი მარილი და სხვა პირველ ხარისხოვან მოთხოვნილებათა საგნები იყიდება კოოპერატივში თბილისის კოოპერატივების ფასე-

ბში, რამაც რა თქმა უნდა დიდი გავლენა იქონია აქაურ ბაზარზე. თბილისის კოოპერატიული ცენტრები სერიოზიულ ყურადღებით უნდა მოეპყრას და პირველ რიგში დააკმაყოფილოს სოფლის კოოპერატივების მოთხოვნილება, რომ ხელ ცარიელი არ დააბრუნონ მათი წარმომადგენლები. დღეს გლეხობა მხურვალედ ეტანება კოოპერატივს. საქიროა ეს მიდრეკილება გავადვივით და განვაფითაროთ სოფლის ფართე მასაში.

კვირა დღეს, სამ აგვისტოს, იმპერიალისტიუ ომის ათი წლის თავზე, სოფელ წყნეთში მოხდა საპროტესტო მიტინგი, რომელსაც დაესწრო ელოქტრონის სადგურების მუშათა წარმომადგენლობა, როგორც ხსენებულ სოფლის საშეფო კომისიის წევრები. მიტინგზე ილაპარაკა ამა. კეკელიძემ, რომელმაც გლეხეცობის წინაშე გადაშალა ის საშინელება, რასაც ადგილი ჰქონდა ყაჩაღურ ომიანობის ხანაში. კრებამ გამოიტანა დადგენილება ყოველ ღონით დაეხმაროს გლეხთა და მუშათა მთავრობას და ხელი შეუშალოს იმპერიალისტების ამ შავ განზრახვებს...

იმავე საღამოს სოფლის ახლად დაარსებულ კლუბში შესდგა წარმოდგენა, რასაც დაესწრო დიდალი ხალხი. ერთხელ კიდევ მინდა ამხანაგური რჩევა მივსცე წყნეთში წარმოდგენების ხელმძღვანელ ამხანაგებს იმის შესახებ, რომ წარმოდგენები ნუ გაქიანურდება. 8 1/2 საათს მაგვირად, მაგალითად, წარმოდგენა დაიწყო ღამის 11 საათზე და თითქმის მობეზრდა კიდევ დამსწრე საზოგადოებას. ამით საზოგადოებაში კლებულობს ნდობა და ფერხდება კულტურული საქმის წინსვლა.

ძველი მუშა.

კ ო ვ ო რ ი.

კოჯორს სამართლიანათ უწოდებენ ბავშვთა ქალაქს, იშვიათია მართლაც ისეთი ადგილი, როგორც კოჯორია ბავშვებისათვის. სრულიად ჯანსაღი და აქ დაავადებული, ქალაქისკ აერთი მოწამლული პაწაწინა არსება. უკვე ორი სამი დღის შემდეგ ემჩნევა გაუუმჯობესება, ერთი და ორი კვირის შემდეგ, ხომ ბავშვს ველარც კი ცნობს ადამიანი.

თავის თავად ცხადია, რომ კოჯორს ამის გამო ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ სამწუხაროდ მას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

დღევანდელი კოჯორი ნავით არის ავსილი. უსუფთაობას იმდენათ აქვს ფეხი გადგმული აქ, რომ ის შეიძლება ფრიად სასარგებლო კურო-

რტიდგან, ავთომყოფობათა ბუდეთ ვადაქცეს. ამის შესახებ პრესაშიც დაიწერა რამოდენიმეჯერ. კომისიებიც მოვიდნენ, მაგრამ საქმეს არაფერელო რა.

ამას ზედ ერთის კიდევ უწყლობა. არას დროს კოჯორს არ ახსოვს ასეთი უწყლობა, როგორც წელს არის.

მიღებულია ზომები, რომ წყალი იქნეს მაგრამ... ჯერ არაფერი ნიშნებია მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

კიდევ ერთი ნაკლი.

ეს უკვე ფასების მომწესრიგებელ კომისიას ეხება. საშინელად ძვირია კოჯორში ხილეულთა.

ნუ თუ კოჯორში მყოფ მუშების ცოლებს და შვილებს არა აქვთ მოთხოვნილება ხილის, რათ არის რომ ხილის ასეთ სიძვირეს კომისია ყურადღებას არ მიაქცევს?

მაგალითი: სახამთროს კარგს, მოზრდილს თფილისში იყიდით 50 კაპიკათ. აქ უნდა გადაიხადოთ 2 მანეთი. კოჯორი საესეა სამიკოტნოებით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგდებით მას ამ პაწია ავარაკზე—სადილები ცუდი, უფარგისი და ძვირი, ღვინო კი ბევრი.

კოოპერატივი არის, კარგათ მუშაობს, მაგრამ ეტყობა თანხის სიეწიროვე აწუხებს.

ერთად ერთი ხსნა არის კოოპერატივი, თორემ კერძო ვაჭრებმა აიკლეს მოთავარაკენი.

სამიკითხველოც არის, მაგრამ მითვისებულთა ქოროლზე. საქირო კი იყო განყოფილების გახსნა მაინც ზევით სადმე.

წელს კოჯორში უმთავრესად მუშა-მოსამსახურეებია ჩამოსული საზაფხულოთ. **ვალაიანი.**

სოფლის ცხოვრებიდან.

მტკიცე ვალიუტის შემოღებამ ყველას საშუალება მისცა ერთგვარი ხარჯთაღრიცხვის შედგენის, განსაკუთრებულ მნიშვნელობით ეს სოფელ გლეხობას მოეგონა. დღეს მშრომელ გლეხობისათვის რამოდენიმეთ გაადვილებულია ცხოვრების პირობები, მაგრამ მათ მაინც სჭირიათ სათანადო ყურადღება. პირველ ყოვლისა საქიროა სასოფლო მეურნეობას ახალი კულტურული საფუძველი დაედოს, რათა ცოტა შრომის და ენერჯიის დახარჯვით მეტი სარგებლობა მიიღონ. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლო, როდესაც მთავრობის მიერ დაქირავებული აგრონომები, როგორც მაზრაში, ისე რაიონებში სისტემატიურ ლექციებს მოაწყობენ სოფლებში. შემდეგ მნიშვნელოვან ყურადღების ღირსია საექიმო დახმარება სოფლად. მთავრობას მრავალ ალაგას აქვს გახსნილი საექიმო პუნქტები და ყავს ექიმები. ეს ძლიერ ხელს უწყობს ჯანმანათელობის სასურველ დონეზე დაყენებას. საქიროა ლექციების მოწყობა სოფლად ჰიგიენაზე.

ასეთივე ზომებით შესაძლოა სოფელ გლეხობაში გამოიწვიო მეტი მისწრაფება კოოპერაციისადმი, რომელიც ერთადერთი საშუალებაა ბურჟუა-საეკულიანტების კლანჭებიდან თავის დასაღწევად. სოფლად დაარსებული კლუბები, სადაც რევოლუციონური შინაარსის პიესები იდგმება; საქიროა წიგნთსაცავ სამკითხველოების ამოძრავება, რომლებიც ზოგან დაკეტულია, ზოგან სრულებითაც არ მოიპოვება. **მ. არაბიძე**

სოფელი ხაბარკვაო.

დღის საგარეოში კერძო სამიკიტნოები უკვე დახურულია, მაგრამ ადგილობრივ ალბანკომს კოოპერატივის გვერდით გაუხსნია სამიკიტნო, სადაც წინანდელით დიდიდან საღამომდის სწარმოებს ლოთობა. ერთადერთი საწვავში ის არის, რომ კოოპერატივის დაუმარცხებია კერძო ჩარჩ. ვაჭრები და დაუმსახურებია საზოგადოების ყურადღება, მაგრამ საუბედურთ მას არ აქვს საქმარისი რაოდენობით საქონელი გლეხობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. კოოპერატივის გამგეობა, რომელსაც ეკუთვნის კოოპერატივის სხვე გვერდით გახსნილ გაუგებრობით წითელ რესტორანათ წოდებული ეს სამიკიტნო, კარგს იზამდა, რომ ლოთობა შეეწყვიტა და ის თანხა რომელიც იგზავნება კახეთში კასრებით (ბოქები) ღვინის მოსტანათ, გაეგზავნათ თბილისში სინდიკატიდან ფართულუბოების მოსტანათ.

აქ არსებობს ახლად შემდგარი გლეხკომიც, რომელსაც თვალსაჩინო ჯერ არაფერი გაუკეთებია და, ვფიქრობ, ვერც გააკეთებს, ვინაიდან მის შემადგენლობაში ზის სამოსელ გამოცვლილი ყოფილი მღვდელ-ფედერალისტი...

ახლა შევხვით „ცნობილ“ მკითხვე ნინოს, რომელიც „მოღვაწეობს“ სწორად აღმასკომის ცხვირ-წინ... აქ დიდიდან საღამომდის გაქედლია გულუბრყვილო ხალხით. მოდის ეს ხალხი სხვა და სხვა საქუჭრებით. მკითხვე კარგათ სტარცვავს ამ ხალხს და „სარეზოლიუციით“ ზოგს თელეთში ჰგზავნის, ზოგს შავნაბადაში და სხვა...

„მარტაკოჩის“ ხეჩო

დაბა ახალქალაქი.

(გორის მაზრა)

ორშაბათს, 28 ივლისს, შედგა დაბა ახალქალაქის თემის აღმასკომის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა ახ. ჯალანდარაშვილის თავმჯდომარეობით. სხვა წერილ კითხვებთან ერთად დღიურ წესრიგში იყო დასმული კოოპერატივ „თემის“ მდგომარეობის შესახებ და სათემო კედლის გაზეთის დაარსება. კოოპერატივის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ახ. შამასაღისოვი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კოოპერატივის გაუხსნია განყოფილებები სოფელ ხოვლეში და მეტეხში. მოუწყვია დაბა ახალქალაქში ფურნე, საყსაზო, და სასადილო, მაგრამ, როგორც გამოირკვა, სუყველა ესენი არ ყოფილან სასურველ ნიადაგზე დაყენებულნი, რადგანაც გამგეობაში ყოფილან ისეთი პირები, რომელთაც აკლდათ გამოცდილება. ამასთანავე გამგეობაში არასასურველი პირებიც ყოფილან. სხვათაშორის გამგეობას უზარალნია ათას ხუთას მანეთამდე აბრეშუმის პარკის დამზადებაში და სხვა. არ შეიძლება არ აღინიშნოს გარდა ამისა ერთი ყოვლათ დაუშვებელი მოვლენა. კოოპერატივი დროგამოშვებით გზავნის თბილისში კაცებს ცეკავშირიდან საქონლის მოსტანად. საქონლის მოტანას უნდებოან ორ კვირაზედ მეტს. ამ ხნის განმავლობაში კოოპერატივი მიტოვებულია უსაქონლოთ. საქონლი გამოირკვეს რაშია საქმე და ვინ არის მიზეზი

ამ დაუშვებელი მოვლენისა, ცეკავშირი აბან-ამბობენ, რომ ყურძნის ასე მობმა ჯერ იაი არ ახსოვთ. მაგრამ სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ შემოქმედის გლეხები ამაზე იმედს ვერ ააშენებენ. ჯერ ერთი თვითუფლი გლეხი თავის საქმარისზე მეტს ვერ მოიყვანს ღვინოს, და რომც მოიყვანოს, შემოქმედის ღვინოს, რომელიც იზაბელას ხარისხის ყურძნისაგან მზადდება, გარეშე ბაზარზე გასავალი არა აქვს. აქედან ცხადია, რომ ვენახის მობმა შემოქმედისათვის შემოსავლის წყაროთ არ შეიძლება იქნეს ჩათვლილი.

გურიამი და კერძოდ შემოქმედშიც აქა-იქ არის დაბალი ვენახი, რომელიც მშენიერ მოსავალს იძლევა, აქაური ჰაეა მას არა ნაკლებ უწყობს ხელს, ვიდრე — ზემო-იმერეთის, სამწუხაროთ ვენახის ასეთი მოშენება ჩვენში გავრცელებული არ არის.

საერთო გვალებმა, რომლებმაც საბჭოთა რესპუბლიკების მთელი რიგი ადგილები დაადაზნა, ჩვენც წამოგვკრა ხელი. მოსავალი წელს საშუალოზე ნაკლებათ უნდა ვიანგარიშოთ. შემოქმედის გლეხობას „ბედმა“ ამ მხრივ წელს არ უწყალობა.

პოლიტიკური განწყობილება და საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება მეტად მტკიცეა და ურყევი. აქ ხშირად გაიგონებთ გლეხებისაგან: ბოლშევიკის გარდა წასულია სხვა პარტიის საქმე-ო. განსაკუთრებით კმაყოფილია ხალხი ფულის რეფორმით. ახალმა ლითონის ფულმა მას მეტი სიყვარული და მეტი ნდობა ჩაუნერგა მთავრობისადმი.

გალმელი.

ქ. ლანჩხუთი.

ხანგრძლივმა გავლამ სიმინდის ნათესები უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო. ივლისის ბოლო რიცხვების წვიმებმა მოსავლის პირი საგრძობლად გამოაბრუნა. თუ ამინდმა ხელი შეუწყო, საშუალო მოსავალი იქნება. აქედანვე უნდა იქნეს სათანადო ორგანოების მხრივ ზომები მიღებული, რათა შესაძლებელი შემოსილობა შეუმსუბუქდეს გურიის მშრომელ გლეხობას. გლეხკომი მიუღ ძალდონეს ხმაობს გამოსავალი გზის მოსაპოვებლათ. მაგრამ მას ბევრი სხვა საქმეც აწევს კისერზე: ის თავის ხარჯზედ აშენებს საზაფხულო კინო-თეატრს, რომელიც დაიტევს 400 აკადმედ. შენობა თითქმის დამთავრებულია და ერთ კვირაში უკვე დაიწყებს მუშაობას.

ეს დიდი მიღწევა ისეთ ღარიბ გლეხკომისათვის როგორცაა ქ. ლანჩხუთის გლეხკომი. ყველაფერ საქმისადმი დიდ ყურადღებას იჩენს გლეხის წრიდან გამოსული ახ. ირაკლი კუკულაძე, რომლის მეხოხებით და ინიციატივით დაარსდა გლეხკომი.

ის დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობს. გასაკვირია ერთი რამ: ამ რამოდენიმე ხნის უკან გამოცემული იყო ბრძანება რკინის გზის მდებარე ქალაქ სოფლებში პირველი ხარისხის პურის გაყიდვისა 8 კ. და აქ კი შავი პური II ხარისხისა ღირს 10 კაპ. არაფინაა გამკითხავი. ვაჭრები თავს გავიდნენ და როგორც სურთ ისე ყიდიან. გასაკვირია რომ აქ არსებულ კოოპერატივ „ეპო“-ს აქვს თავისი ფურნე და პური არ ცხეება. თუ მარ-

მუშკორი მკერვალი ნიკო.

შ ე მ თ ქ ე დ ი

(გურია.)

ჩვენი სოფლის მდებრივობა მეტად კარგია, მდინარე ჟუეი თავის ტოტებით მთელ სოფელს რწყავს. ჩვენში იშვიათია ისეთი ოჯახი, რომ ეზოში წყალი არ ჩამოუვლიდეს. მასთანვე ისეთი წყალი, რომელიც დაიწყობილია წისქვილები.

ჩვენი მოსავალი სიმინდის გარდა, თხილი და აბრეშუმი იყო. სამწუხაროდ წელს ამ მხრივ საქმე კარგათ ვერ წავგივიდა. თხილის მოსავალი მეტის-მეტად ცუდია. მისგან გლეხობა ბევრს ვერაფერს უნდა მოელოდეს.

რაც შეეხება აბრეშუმის საქმეს, აქ კიდევ არა უშავდა, რომ თავის ნაშრომი ხალხს მაშინვე გაეწაღებია. მიერე პარკი ნისათ გაიყიდა და ფულის გადახდამაც დაიგვიანა.

ღარიბ გლეხის ოჯახისათვის, რომელიც მოუთმენლად მოელის აბრეშუმის კეთების დროს, რომ შემოსულ ფულით უსაქიროესი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს, მეტად ძნელია ფულის გადახდის შეჩერება. ბევრს მუშაობის ხარისიც ეკარგება. ამას შეუძლია გავლენა იქონიოს სარაიოდ პარკის მოსავალზე მთელ მაზრაში, რაც არ არის სასურველი.

მთავრობამ უნდა ეცადოს, როგორც არ უნდა დაუჯდეს, მაშინვე ჩაბაროს გლეხს კუთვნილი ფული, როგორც აბრეშუმის პარკს მიიღებს მისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, გურია, რომელიც აბრეშუმის მოსავლიანობით ცნობილია საქართველოში, შეიძლება ამ მხრივ უკან ჩამორჩეს.

ამას გარდა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბევრ ოჯახს აბრეშუმის ჭია საყსებით ეზარალა. ხალხი უმთავრესად ამას აბრალებს თესლის უფარვისობას. ამასაც აქედანვე ყურადღების მიქცევა უნდა. თუ თესლი საიმედო არ არის, სჯობს ის სრულიად არ მიაწოდო სოფელს. გლეხისათვის ხუმრობა საქმე არ არის ისეთი შრომის გაღება, როგორცაა მოითხოვს აბრეშუმის მოშენება.

წელს ჩვენში, სხვათა შორის, ძალიან კარგი პირი უჩანს ვენახს. მოსწრებული გლეხები

თლაც თანხა არ არის, ცეკავშირის და მთავარ გლახკომის მიერ უნდა იქნეს ის გაღებული, რომ შესძლოს ლანჩხუთის ხალხმა თავის დაღწევა ვაჭრების თავგასულობისაგან. ეს მეტად საჭირობოა კითხვა და ყურადღების მიქცევას ითხოვს. შაქარი სრულებით არ მოიპოვება. თუ კერძო იზოვი 50-60 კაპიკი ფასობს. არც ამას აქვს მიქცეული ყურადღება. ვაჭარს ოფიციალურად აქვს დადგენილი შაქარი. მიხვალ ეკითხები: მოქალაქე, რა ღირს შაქარი? პასუხით გეცმის: 60 კაპიკი. მუშკოს შაქარი არა აქვს. ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

გადაწყდა, რომ ქ. ლანჩხუთში დაიხურება ქალ-ვაჭთა შეერთებული ტექნიკუმი.

მომავალ წლიდან საჭიროა რომ ქ. ლანჩხუთში გაიხსნას საშუალო სამეურნეო სისწავლებელი, რომლისკენაც არის მთელი გლახობის ყურადღება მიქცეული.

გენო.

სოფელი ჭავანი.

(სამტრედიის რაიონი)

აქ არსებობს პირველ დაწყებითი დაბალი და მაღალი შრომის სკოლები, გეჰონდა სამკითხველო და შემხახველო გამსესხებელი ბანკი. მაგრამ ამჟამათ ეს თემი სოფლადაა გადაქცეული და დღეს ამ უკანასკნელთა ხსენებაც არ არის. პირველის ე. ი. სამკითხველოს უქონლობა ადგილობრივ ამხანაგების გულგრილობას უნდა მიეწეროს, რაც შეეხება შენახველ ბანკს, ეს კი საინტერესოა სად წავიდა და, სად გაქრა, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ მისი თანხა ჯერჯერობით არავინ უწყის. ისინი, ვინც შიგ იყვნენ მოკალათებულნი მენშვიკურ მთარობის დროს, ესლა ხმას არ იღებენ. საჭიროა იკადეს დასახელებულ ბანკის წევრებმა რას მოხმარდა ბანკის თანხა: საზოგადოებრივ ხასიათის საქმეს, თუ კერძო პირის, რომელიმე ბოზოლას ხვედრი შეიქნა.

უჩინარი.

სტოვაგან გენუაჟ. პარტიას

სოფელ იგოეთი

1. მარიამიძე შაქრო მიწის მუშა 1919 წ.

ლამისყანა

2. კობაური ნასყიდა — 1905 —

3. ბენაშვილი ლადო — 1917 —

4. რამაზაშვილი იასონ — 1918 —

ს. ბაჰამი

5. გამბიტაშვილი იასონ — 1918 —

ქვემო-ქალა

6. სოზიაშვილი ი. — 1920 —

7. წიკლაური იოსებ — 1917 —

8. პარკაძე ალექსანდრე — 1919 —

9. ხუციშვილი შალვა — 1905 —

10. პაპუაშვილი სოსე — 1905 —

11. გარჯელაძე სოსნ — 1918 —

12. გახელაძე გიორგი — 1918 —

ნადარბაზევი

13. ქენქაძე ვანო — 1918 —

ს. ბოჟამი

14. ბატელაშვილი ალექ. — 1919 —

ქვემო-ქალა

15. პაპუაშვილი ნიკა — 1917 —

16. ბულადაშვილი ანტონ — 1918 —

17. პავლიაშვილი ნ. — 1918 —

18. ქენაშვილი სოსო მილიც. 1919 —

ლამისყანა

19. ლენიაშვილი შ. მიწის მუშა 1917 —

20. ბენაშვილი ილიკო — 1917 —

ქალა

21. დავითაშვილი შალ. მასწავ. 1904 —

ქვემო-ქალა

22. შიუქაშვილი ილი. მმწი მუშა 1918 —

23. ოთარაშვილი კარგო — 1918 —

24. ტოგონიძე იოსებ — 1918 —

სსპა ლა სსპა აშხაბი

— **თბილისში 6 აგვისტოს** საღამოს 10^{1/2} საათზე დაპატიმრებულ იქნა ვალიკო ჯღღელი სახალხო გვარდიის ყოფილი ხელმძღვანელი და მენშვიკურ ცეკას წევრი.

— **24 ივლისს** დაპატიმრებულ იქნა პარტიულ კომიტეტის ტერორისტულ ჯგუფების ხელმძღვანელი მახვილ კოლუაშვილი.

— **3 აგვისტოს** სამურზაყანოში დაპატიმრებულ იქნა პარტიულ კომიტეტის რწმუნებული სამხედრო ორგანიზაციაში — ნორჩო მიქელაძე.

— **4 აგვისტოს** მიქელაძესთან ერთად შეიპყრეს სამურზაყანოში ვ. ჯღღელის თანამებრძოლი, ბანდიტი გურჯუა.

— **5 აგვისტოს მანგლისის გზატკეცილზე** მგზავრებით დატვირთული ავტომობილი ხრამში გადაიჩენა. მოკვდა 5 კაცი, 7 მძიმედ დაშავდა, 7 კი მსუბუქად.

უხსოვთის აშხაბი.

— **ლონდონში ჩასულმა** გერმანიის კანკლერმა მარქსმა განაცხადა, რომ ჩვენ დევმორჩილებით ექსპერტთა გეგმის შესრულებასო.

— **ერიო წინააღმდეგია**, რომ გერმანიის დელეგაციამ აღძრას კონფერენციაზე ომის პასუხისმგებლობის საკითხი.

— **ერიო განაცხადა**, რომ გერმანიის დელეგაციას არ აქვთ რურის ევაკუაციის საკითხის აღძვრის უფლებაო.

— **გერმანიის დელეგაცია** მიინც ფიქრობს რურის ევაკუაციის საკითხის დასმას საფრანგეთის და ბელგიის დელეგატებთან სპეციალურ მოლაპირაკების დროს.

— **მაკდონალდმა განაცხადა**, რომ ის თანახმაა საფრანგეთის ვალენტე ნაწილობრივ უარი განაცხადოს, თუ საფრანგეთი წავა დამოზაზე გერმანიისთან.

— **4 აგვისტოს ლონდონში ჩავიდა** ცნობილი ამერიკელი ბანკირი მორგანი სარგერაციო სესხის კითხვის მოსაგვარებლათ.

— **ამერიკის ბანკირებს გადაწვევტილი აქვთ** მისკენ გერმანიის სესხით 800 მილ. ოქროს მარკა ლონდონის კონფერენციის დასრულების შემდეგ.

— **მაკდონალდმა განაცხადა თემთა პალატაში**, რომ დოუესის გეგმა უნდა მიღებულ იქნას მთლიანად და უცვლელად.

— **საბჭოთა კავშირისა და ინგლისის კონფერენციაზე** მოხდა შეთანხმება. კონფერენციის ჩაშლა, რომელიც გაზეთებმა გვაუწყეს, თავიდან აცილებული იქნა.

— **იუგოსლავიის დემოკრატ დავიდოვიჩის** ახალ კაბინეტში არ შევიდა რადიჩის გლახთა პარტია. ის იტოვებს თავისუფალ მოქმედების უფლებას და ამავე დროს მხარს უჭერს ახალ კაბინეტს.

— **ბრაზილიის პარლამენტში** შეტანილია წინადადება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

— **მაკდონალი შემპირდა** პარლამენტს, რომ საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულება წარდგენილი ექნება განსახილველად პარლამენტსო.

— **კონსერვატორები** უკმაყოფილონი არიან ჩვენსა და ინგლისის შორის მოხდარ შეთანხმებით.

— **ბულგარეთის მთავრობა** განმეორებით აცხადებს, რომ ყველა რუსს ეკრძალება ბულგარეთში შესვლაო.

— **ინგლისის და საბჭოთა კავშირის შორის** გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის სიტყვით დადებულია ორი ხელშეკრულება: საეპრო და საზოგადო.

პოლიტიკური მიმოხილვა

(გვიანდას-გვიანამდე)

ჩვენ გასულ კვირას ავღნიშნეთ, რომ მოკავშირეთა კონფერენცია, რომელიც იმავე ლონდონში ხდება, სადაც ინგლის-საბჭოთა კონფერენცია მიმდინარეობს, იმდენად დიდი ყურადღების ღირსი შეიქნა, რომ მან დაჩრდილა რამდენიმედ ჩვენი და ინგლისის მოლაპარაკება, რომელსაც მსოფლიო პრესა თავიდანვე დიდი ინტერესით ეკიდებოდა.

დღეს-კი ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჩვენსა და ინგლისის შორის შეთანხმება მოხდა. ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანი და შეიძლება ბევრ წრეებისათვის მოულოდნელიც იყო, რომ მან კვლავ ალაპარაკა მსოფლიო ბურჟუაზია. ინგლისის ბურჟუაზიული და მუშათა საზოგადოებრივი აზრი, მოუთმენლად ელოდა კონფერენციის მსვლელობის ანგარიშის გაცნობას, რომელიც დიდი საიდუმლოებით იყო მოკული.

ახლოვდებოდა პარლამენტის დათხოვნის დრო და მაკდონალდის მთავრობა იძულებული შეიქნა ამ დღემდე წამდგარიყო პარლამენტის წინაშე კონფერენციის საქმეთა ვითარების გასაცნობათ.

სანამ შეთანხმება მოხდებოდა, მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო. შეთანხმების თვით უკანასკნელ დღეებში კონფერენცია ჩაშლილად უნდა ჩათვლილიყო. დეპუტებმა უკვე მოჰქინა ამის ცნობა მთელ დელამიწის ზურგზე.

უმთავრესი დაბრკოლება, რამაც კონფერენციაზე შეჭქმნა ასეთი საბიფათო მდგომარეობა და შეთანხმება შეუძლებლათ გახდა, ეს იყო, დეპუტების ცნობით, ყოფილ კერძო მესაკუთრეთა პრეტენზიების დაკმაყოფილება. აქ იმ მესაკუთრებზეა ლაპარაკი, რომელთაც რე-

ვოლუტაიმდე ჩვენს რესპუბლიკებში ჰქონდათ რაიმე საკუთრება, ან წარმოება და ოქტომბრის შემდეგ მთელი ეს ქონება სახელმწიფოს ხელში გადავიდა.

თავის თავად ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო ერთი კალმის მოსმით გადაეჭრა ეს კითხვა. ყოფილ კერძო მესაკუთრეთა პრეტენზიების დაკმაყოფილება მათი უკვე ხალხის კუთვნილებად ქცეული ქონების განაღდება არსებითად ეწინააღმდეგება იმ სოციალურ სტრუქტურის პრინციპებს და პოლიტიკურ სისტემას, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით. ამ წინადადებით ინგლისის მთავრობა უკვე სცდებოდა ზომიერების ფარგლებს და ჩვენ შინაურ საქმეში იწყებდა ხელის ფათურს.

ესეც რომ არ ყოფილიყო, ინგლისის ყოფილ მესაკუთრეთა პრეტენზიების დაკმაყოფილება ჰქმნიდა მომავალში ისეთ პრეტენდენტს, რომ ასეთივე დაკმაყოფილება უნდა მიეცა საბჭოთა მთავრობას ევროპის სხვა დანარჩენ სახელმწიფოთა მესაკუთრე-პრეტენდენტებისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ მეფის რუსეთში უცხო კაპიტალი მეტად ძლიერი იყო. მიღება თავის თავზე ასეთ ვალდებულებების საბჭოთა კავშირის მხრივ უღრიდა მრეწველობის ნაციონალიზაციაზე ნახევრად ხელის აღებას.

ამიტომ მოხდა, რომ ამ კითხვამ ყველა სადაო კითხვებში შეთანხმებული კონფერენცია ჩაშლამდე მიიყვანა.

მაგრამ მაკდონალიდს მთავრობას არც ისე იაფად დაუჯდებოდა ეს მარცხი. მან ეს კარგათ იგრძნო, და ამით აიხსნება ის მოულოდნელი შედეგი, რომლის მოწამენიც ჩვენ ვართ.

ინგლისის მთავრობამ ყოფილ კერძო მესაკუთრეთა პრეტენზიების კითხვა მოხსნა დღის წესრიგიდან, საბჭოთა დელეგაციამ დაპირება მისცა მას, რომ ჩვენი მთავრობა თვითეულ შემთხვევაში თითონ აწარმოებს უშუალო მოლაპარაკებას კერძო მესაკუთრეებთან და გამოაკვეთს მათ პრეტენზიების საფუძვლიანობას და დაკმაყოფილების შესაძლებლობას არ შესაძლებლობას.

ჩვენ ვიცით, რომ შეთანხმებაში მთავარი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის გარეშე ეაქრობის მონაპოლიას. ამ კითხვას მეტად თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ლონდონის კონფერენციის მთელ მუშაობაში.

ისე როგორც პოლიტიკურში, ეკონომიურ დარგშიაც საბჭოთა კავშირის გარეშე ბაზარზე მთლიანი ფრონტი უჭირავს, რომელიც საცესებით სახელმწიფოს ხელში მოიპოვება. საბჭოთა კავშირის „ენქორტირება“ და სეაქრო წარმომადგენლობანი სახლვარ-გარეთ — ეს არის საბჭოთა სისტემის განასახიერება ბურჟუაზიულ ევროპაში.

ძველი ევროპის ბურჟუაზიულ ურთიერთობის საცესებით კერძო საკუთრებაზე დაყრდნობილი აღებ-მიცემობა, რა თქმა უნდა, ასე ადვილად ვერ ეგუება სახელმწიფოებრივ მონაპოლიას ეაქრობის დარგში და კერძო მესაკუთრის იქედან სრულს განდევნას.

ასე აყენება კითხვას ჩვენი მთავრობა, როცა ბერლინის პოლიცია ყაჩაღურად დაესხა თავს ამ სამი თვის წინად საბჭოთა წარმომადგენლობას და ააწიოკა ის.

წარსულ კვირაში ჩვენ მივიღეთ გერმანია-საბჭოთა კავშირის შორის მომხდარ კონფლიქტის ლიკვიდაცია, რომელშიაც გერმანიის მთავრობა რაპალოს ხელშეკრულების შემდეგ განმეორებით სცნობს ჩვენს საეაქრო წარმომადგენლობას ექსტერიტორიალობას. ამ კვირაში-კი ჩვენ გვაქვს ასეთივე შეთანხმება ინგლის-საბჭოთა კავშირის შორის.

ეს ერთი და იმავე კითხვის გაგრძელებაა რომ ჩვენ უკან დაგვებია გერმანიისთან კონფლიქტის კითხვაში — ადვილი შესაძლებელია, ასეთი გამარჯვება არ გვრგებოდა ინგლისთან შეთანხმებაში.

ამნაირად ინგლისი ამიერიდან სცნობს ჩვენს საგარეო ეაქრობის მონაპოლიას და ჩვენ წარმომადგენლობათა ექსტერიტორიალობას. სამაგიეროთ საბჭოთა კავშირი აღუთქვამს მას უფრო მჭიდრო ეკონომიურ დამოკიდებულებას ევროპის დანარჩენ სახელმწიფოსთან შედარებით.

ინგლის-საბჭოთა კონფერენციის შემდეგ ამ კვირაში აღსანიშნავია მოკავშირეთა კონფერენციის მხეღელობა. მთელი ეს კვირა ოკეციალურ სხდომებთან ერთად მთელ რიგ საიდუმლო თათბირებში გატარდა, სადაც, როგორც ეს ჩვენ თავიდანვე აღვნიშნეთ, მიღწეულ იქნა შეთანხმება.

ყველაზე სუსტი ეკონომიურ შესაძლებლობის მხრივ საფრანგეთი, ყველაზე მეტ შეურიგებლობას იჩენდა აქ. მისი გზა ოდნავათაც არ შეცვლილა ერთი მთავრობის ხელმძღვანელათ არჩევით.

ჯერჯერობით შეიძლება ითქვას, რომ ლონდონში მოკავშირეთა კონფერენციაზე გაიმარჯვა საფრანგეთის ბურჟუაზიის თვალთახედვის ისარმა. ის ნახევრად კულმოკვეცილი შემარეგებელი და შემათანხმებელი ფორმულები, რომლებმაც თითქოს მოსპეს კიდევ ყოველივე წინააღმდეგობა ანტანტის წევრთა შორის, უმთავრესად საფრანგეთ-ბელგიის ბლოკიდან გამოდიოდა და არსებითად სარეპარაციო კითხვას ოდნავდაც არა სცვლის.

როცა მოხდა ეს მოჩვენებითი შეთანხმება, გერმანიას მხოლოდ მაშინ გაუღეს კონფერენციის კარები. დამარცხებული გერმანია, თქმა არ უნდა, იძულებული გახდება ხელი მოაწეროს ანტანტის მიერ შეხანხლილ ოქმს. არც მეტი არც ნაკლები. იქ, სადაც არის დამარცხებული და გამარჯვებული, რა თქმა უნდა ზედმეტია ლაპარაკი ჩვეულებრივ სამართლიანობაზე და თანასწორობაზე.

ამნაირად მოკავშირეთა კონფერენცია ლონდონში, ოდნავდაც არ უმსუბუქებს გერმანიის პროლეტარიატს სარეპარაციო ექსპლოატაციის მძიმე უღელს. ლონდონის კონფერენცია მხოლოდ დროებით შეთანხმება, პალიატივია ანტანტის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. როგორც არ უნდა დასრულდეს ის, ამ უთანხმოების საბოლოოთ ხელის დაფარება იმდე

ნაღვე შეუძლებელია, რამდენადაც შეუძლებელია მა'ათის ტომარაში დამალვა.

ადრე თუ გვიან, კონფერენციებსაც დასასრული უნდა მიეცეს.

შახლოების გასწორება.

ამხ. ხ. ჯაფარიძის წერილებში, რომელიც ჩვენ ჟურნალის მთელ რიგ ნომრებში თავსდებოდა „რვა მუშის ისტორიის“ სათაურით, შემდეგი კორექტურული შეცდომები შეგვეპარა: № 30-ში, მე-3 სვეტში დაბეჭდილია 1913 წ. მიწურულში — უნდა იყოს 1914 წ. მარტში, 3 — 5 სვეტში დაბეჭდილია, ახლა მათ უძახდნენ თავიანთ კრებებზედ — უნდა იყოს — არც მათ უძახდნენ და სხვა.

№ 31-ში მე-2 სვეტის ბოლოს სწერია — ესერების საწინააღმდეგო წერილში, უნდა იყოს — ესევეების საწინააღმდეგო წერილში და სხვა.

მე-3 სვეტში სწერია — მათ დაქინებით მოითხოვეს, რომ დაწყებული ოპოზიცია არ შესუსტებულიყო, უნდა იყოს — და მათი დაქინებითი მოთხოვნის, რომ დაწყებული ოპოზიცია არ შესუსტებულიყო.

იქავე სწერია — რომ არჩეული გზა სუსტი და გასაკიცხი იყო, უნდა იყოს — რომ არჩეული გზა სუსტი და გასაკიცხი არ იყო.

რედ.

წერილები რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ჩვენი ჟურნალის „სიმართლის ხმის“ უახლოეს ნომერში გამოაცხადოთ შემდეგი:

1918 წლიდან 1923 წლამდე ვითვლებოდი საქ. ს. დ. მ. პარტიის წევრად. აღნიშნულ დროის შემდეგ მე სრულის შეგნებით გავწყვეტე ყოველგვარი კავშირი მენშევიკურ პარტია-სთან.

საცხებით ვიზიარებ 1923 წლის 25 აგისტოს ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციას და დაკლარაციას.

შალვა ი. ქორიძე

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ჩემ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ ჟურნალის მახლობელ ნომერში.

მე თამბაქოს ქარხნის მუშა 1898 წლიდან ვეკუთვნოდი სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიას და 1920 წლამდის ვასრულებდი სხვა და სხვა პარტიულ დავალებებს. ამ ხნიდან ხსენებულ პარტიას დავშორდი.

მე მსურს ჩემ ყოფილ ამხანაგებთან ერთად ვიმუშაო მუშათა და გლეხთა ხელისუფლების გასამტკიცებლად.

გაუმძარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

გიორგი ალექსის-ძე ნაბიჭვრიშვილი

სარედაქციო კოლეგია:	ა. ფარნივი.
	ა. რუხაძე.
	ქ. თოფაძე.
	ნ. ჩლაიძე.
	გ. ვარდიანი.
	ა. ქყონია.